**მდგრადი განვითარების კავშირი**

**ეკოხედვა/ECOVISION**

# საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება

## თემატური მიმართულება 6 –

## **საზოგადოების მონაწილეობა და განათლება**

თბილისი

2012

## შინაარსი


**შესავალი** 3

**1 ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** 6

1.1 საკანონმდებლო ჩარჩო 6

1.2 ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების არსებული ინსტრუმენტები 9

1.3 გამოვლენილი პრობლემები 17

**2 საზოგადოების მონაწილება ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** 19

2.1 საკანონმდებლო ჩარჩო და აღსრულების მდგომარეობა 19

2.2. გამოვლენილი პრობლემები 28

**3 საზოგადოების ცნობიერება და განათლება ბიომრავალფეროვნების საკითხებზე** 29

3.1. საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოები 29

3.2. ბიომრავალფეროვნების საკითხებზე განათლებისა და ცნობიერების ამაღლების არსებული ინსტრუმენტები 30

3.2.1. ფორმალური განათლება 30

3.2.2. არაფორმალური (ნონ-ფორმალ) გარემოსდაცვითი განათლება 44

3.2.3. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების სხვა საშუალებები (informal education) 49

3.3. გამოვლენილი პრობლემები 51

**დანართები**

დანართი 1. NBSAP, მოქმედებათა გეგმა (2005-2010) გარემოსდაცვითიგანათლება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მონაწილეობა (შესრულების სტატუსი)

დანართი 2. ორგანიზაციებისა და პირების სია, რომლებთანაც ჩატარდა ინტერვიუები შეფასების პროცესში

დანართი 3. ბიბლიოგრაფია და ვებ-გვერდები

დანართი 4. დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრის ოქმი

## შესავალი

ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ კონვენციის მე-13 მუხლი ეხება საზოგადოების განათლებასა და ცოდნის ამაღლებას და მხარეებისაგან მოითხოვს, რომ ხელი შეუწყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებების დიდი მნიშვნელობის გაცნობიერებას, პროპაგანდას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ამ საკითხების შეტანას საგანმანათლებლო პროგრამებში და, რომ ამ მიმართულებით ითანამშრომლონ სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

კონვენციის მხარეებმა მე-13 მუხლის შესრულების საკითხი პირველად განიხილეს მე-4 კონფერენციაზე 1998 წელს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კომპონენტი ინტეგრირებული ყოფილიყო კონვენციის ფარგლებში მიღებული ყველა თემატურ და სექტორულ სამუშაო პროგრამაში. მხარეთა მე-6 კონფერენციაზე (2002) მიღებული იქნა VI/19 გადაწყვეტილება კომუნიკაციის, განათლებისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ (CEPA), რომელიც მოიცავს CEPA-ს გლობალური ინიციატივის პროგრამულ ელემენტებს, როგორიცაა კომუნიკაციის, განათლებისა და ცნობიერების ამაღლების გლობალური ქსელები ჩამოყალიბება (i), ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება CEPA-ს შემდგომი განვითარებისათვის (ii) და მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერება იმისათვის, რომ შეძლონ ბიომრავალფეროვნების საკითხების ჩართვა სხვა სექტორებში (iii). მხარეთა მე-8 კონფერენციაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება VIII/6, რომელიც მოიცავს ჩ -ს სამუშაო პროგრამის დანერგვისათვის პრიორიტეტული ქმედებების მოკლე ჩამონათვალს:

1. CEPA-ს ქმედებების განმახორციელებელი სტრუქტურის ან პროცესის ჩამოყალიბება:
2. ბიომრავალფეროვნების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების მდგომარეობის შეფასება და კომუნიკაციის შესაძლებლობების განსაზღვრა;
3. ძირითადი მესიჯების განსაზღვრა;
4. მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის დანერგვა;
5. CEPA-ს სტრატეგიის განვითარებისა და დანერგვის ინსტრუმენტების შემუშავება;
6. CEPA-ს სტრატეგიის დანერგვისათვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
7. გლობალური ქსელის მხარდაჭერა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
8. ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე;

9. კონვენციის მხარეთა კონფერენციებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საკითხებში დამხმარე ორგანოს შეხვედრების პროფილების ამაღლება CEPA-ს მიმართულებით;
10. ბიომრავალფეროვნების სფეროში ფორმალური და არაფორმალური განათლების გაძლიერება.

მხარეთა კონფერენციების მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება ეხება CEPA-ს პროგრამის განხორციელებას. მათ შორის გადაწყვეტილება IV/10, რომელიც მხარეებისაგან მოითხოვს, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კონვენციის მე-13 მუხლს, წაახალისონ განათლება ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში, გამოყონ შესაბამისი რესურსები, ჩართონ ბიომრავალფეროვნების პრობლემები საგანმანთლებლო სტრატეგიებში, სტრატეგიულად გამოიყენონ განათლებისა და კომუნიკაციის ინსტრუმენტები ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის ფორმულირებისას, დაგეგმვისას, განხორციელებისას და შეფასებისას.

მხარეთა მე-10 კონფერენციაზე მიღებული მე-18 გადაწყვეტილება, რომელიც მხარეებს სთავაზობს გააძლიერონ ჩ -ს ღონისძიებები კონვენციის 2011-2020 სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, შექმნან შესაბამისი საკოორდინაციო ცენტრები, შეაფასონ საზოგადოების ცნობიერების დონე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და სარგებლის განაწილების შესახებ ნაგოიას ოქმის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას, X/18 გადაწყვეტილება ხაზს უსვამს CEPA-ს ღონისძიებების განხორციელებისათვის გაეროს მიერ ბიომრავალფეროვნების დეკადის (2011-2020) გამოცხადების მნიშვნელობას.

CEPA-ს პროგრამები ინერგება ბიომრავალფეროვნების სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული სხვა კონვენციების ფარგლებში, მხარეთა კონფერენციების მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების საფუძველზე, რომლებიც მხარეებისაგან მოითხოვს ეროვნულ დონეებზე შებამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას. ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციის (რამსარის კონვენცია) რეზოლუციები VII.9, VIII.31 და X.8 მხარეებისაგან მოითხოვენ, რომ განიხილონ CEPA, როგორც კონვენციის დანერგვის საკვანძო ინსტრუმენტი, შეიმუშაონ სპეციალური სტრატეგიები და ჩართონ შესაბამისი ღონისძიებები ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვისა და შენარჩუნების გეგმებში. კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) ადმინისტრაციული ორგანოებისაგან

მოითხოვს უზრუნველყონ ფართო საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება კონვენციის მოთხოვნების შესახებ. CITES-ის, ასევე, ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ კონვენციის (CMS) ფარგლებში, ცალკეულ სახეობებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები და კონსერვაციის გეგმები, ასევე მოიცავენ მითითებებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარებაზე. "შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ოქმი, შავი ზღვის ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ლანდშაფტის შენარჩუნების შესახებ" (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 24 სექტემბრის 1710-II ს დადგენილებით) ასევე ავალდებულებს მხარეებს მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების, მისი შენარჩუნებისა და დაცული ზონების შესახებ, ჩართონ დაინტერესებული მხარეები და საზოგადოება დაცული ზონების, სახეობებისა და ლნდშაფტების დაცვის ღონისძიებებში და გარემოზე ზეგავლენის შეფასებებში. ასევე შეიტანონ შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების საკითხები საგანმანათლებლო პროგრამებში.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით (2005) საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება მისი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით და, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა განსაზღვრული იყო ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებად.

ექსპერტთა სამუშაო შეხვედრის (1 ივლისი, 2011) მიერ საზოგადოების მონაწილეობა და განათლება მიჩნეული იქნა ერთ-ერთ საკვანძო საკითხად, რომელზედაც ფოკუსირებული უნდა იქნეს განახლებული NBSAP.

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა კვლევებისა და შეფასებების შედეგად საქართველოში გადაწყვეტილებების მიმღები პირებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დაბალი დონე მიჩნეულია ბიომრავალფეროვნების არსებული საფრთხეების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად.

## 1. ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

### 1.1 საკანონმდებლო ჩარჩო

2001 წელს საქართველოსთვის ძალაში შევიდა კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის კონვენცია). ორჰუსის კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლები ადგენს სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კონვენციის თანახმად გარემოსდაცვით ინფორმაციას მიეკუთვნება ინფორმაცია ლანდშაფტისა და ბუნებრივი ობიექტების, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და მისი კომპონენტების მდგომარეობის, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ. კონვენციის თანახმად ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან ფლობდნენ და ანახლებდნენ მათ ფუნქციებთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით ინფორმაციას და უზრუნველყოფდნენ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოცულობის თანდათან ზრდას. ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებას, კანონმდებლობას, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებს და სხვა ინფორმაციას.

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტებას, თუმცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (1999) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის საქვეყნოობას და ხელმისაწვდომობას. საჯარო ინფორმაციად ითვლება, მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტი, რაც გულისხმობს საჯარო დაწესებულებაში დაცულ, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშრებით მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ყველას, ამასთან აუცილებელი არ არის მითითებული იქნეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. კოდექსით გასაზღვრულია საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი, ვადები, ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, ყოველი წლის 10 დეკემბერს ყოველი საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს საქართელოს პრეზიდენტს და პარლამენტს ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად აღნიშნული ანგარიში მზადდება გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ. 2011 წლის ანგარიშის მიხედვით, წლის განმავლობაში გარემოს დაცვის სამინისტრო'ში შემოსული იყო 151 განცხადება, საიდანაც დიდი ნაწილი სწორედ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა. საჯარო ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 101 შემთხვევაში, 4 შემთხვევასთან დაკავშირებით კი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ინფორმაციის ნაწილობრივ გაცემის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 თავის თანახმად განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. წლის განმავლობაში გარემოს დაცვის სამინისტროს აპარატში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევები არ გამოვლენილა.

გარემოს დაცვის შესახებ (1996) საქართველოს კანონით გარემოს დაცვის ძირითად პრინციპად განსაზღვრულია "ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი" - ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებრიობისათვის. საზოგადოებას უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ (მუხლი 6); გარემოს დაცვის სამინისტროს მოვალეობაა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ფლობა და განახლება და გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მუხლი 13).

საზოგადოების ინფორმირების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი ყოველ 3 წელიწადში ამტკიცებს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ (მუხლი 14). აღნიშნული მოხსენების შედგენის წესი განსაზღვრულია „გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის №389 ბრძანებულებით. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნება სავალდებულოა.

ამავე კანონის თანახმად გარემოს დაცვის სამინისტრო თავის კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სახელმწიფო აღრიცხვას, ანგარიშგებასა და შეფასებას, რაც მოიცავს მოიცავს გარემოს მდგომარეობის და ბუნებრივი რესურსების კადასტრების

შედგენას, სტატისტიკას, ინვენტარიზაციას, პასპორტიზაციას, კარტოგრაფირებას (მუხლი 26). სამინისტრო ასევე ახორციელებს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის საერთო კოორდინაციას, რომლის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის (მუხლი 27).

აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ტყის ფონდის მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზის შექმნა არის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მოვალეობა.

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996) საქართველოს კანონის თანახმად ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან მიიღონ დროული, ობიექტური და ამომწურავი ინფორმაცია ცხოველთა სამყაროს და მათი საბინადრო გარემოს მდგომარეობის შესახებ. თავის მხრივ, სახელმწიფო ცხოველთა სამყაროს დაცვის, გარეულ ცხოველთა (მათ შორის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა) პოპულაციებში მიმდინარე რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების კონტროლის უზრუნველსაყოფად უნდა აწარმოებდეს ცხოველთა სამყაროს ობიექტებისა და ამ ობიექტებით სარგებლობის სახელმწიფო აღიცხვას, რის საფუძვლეზეც დგება ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი, რაც უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მუხლი 59).

საქართველოს ტყის კოდექსის (1999) თანახმად მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ (მუხლი 35). ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უნდა უზრუნველყოფდნენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას (მუხლი 36), ასევე ვებგვედზე ათავსებდნენ ინფორმაციას გრძელვადიანი ტყით სარგებლობისათვის წინასწარ შერჩეული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების ადგილმდებარეობისა და მოსაჭრელი მერქნული რესუსრების რაოდენობის შესახებ. კოდექსი მოიცავს დებულებებს სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგის შესახებ, რაც განიმარტება როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემა. სახელმწიფო ტყის მონიტორინგის საფუძვლეზე მოპოვებული ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (მუხლი 25).

„წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის (2003 წელი) თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით დროულად მიიღონ ინფორმაცია საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, მიმართონ წინადადებებით შესაბამის უწყებებს, ხელი შეუწყონ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების განხორციელებას, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ სფეროს მიკუთვნებულ საკითხთა განხილვაში, დადგენილი წესით მოითხოვონ იმ ობიექტების განთავსების, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან ექსპლუატაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა შეცვლა, რომლებმაც შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე (მუხლი 8). ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გარემოს დაცვის სამინისტროს ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კომისიას წარუდგინოს წინადადება ამა თუ იმ სახეობის საქართველოს „წითელს ნუსხაში“ შეტანის თაობაზე (მუხლი 17).

## 1.2 ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების არსებული ინსტრუმენტები

### *მონიტორინგის სისტემა*

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებული მონაწილეობისათვის შემაფერხებელია სისტემატურად განახლებადი ინფორმაციის არ არსებობა ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტების მდგომარეობის, მათზე მოქმედი საფრთხეების ინტენსივობის (ზეგავლენის მასტაბები) და განხორციელებული ქმედებების ეფექტურობის შესახებ. მეორეს მხრივ საქართველოს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობისა და მასზე მოქმედი საფრთხეების შესახებ საზოგადეობისათვის დროული და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება, ხელს შეუწყობს კონსერვაციული ღონისძიებებისადმი საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას.

გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავლფეროვნების დაცვის სამსახურის კოორდინაციითა და ინიციატივით მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება. გარემოს დაცვის მინისტრის 2009 წლის 22 მაისის №ი-293 ბრძანებით დამტკიცდა ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის, ზეწოლისა და რეაგირების 25 ინდიკატორი. 16 ინდიკატორის მიხედვით მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდოლოგია დამტკიცდა გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 დეკემბერს №65 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად 2012 წლის იანვრიდან ეტაპობრივად უნდა დაიწყოს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. აღსანიშნავია, რომ რეაგირების ერთ-ერთი ინდიკატორია ბიომრავალფეროვნების შესახებ საზოგადოების ცნობიერება (საზოგადოების ბიომრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულების ცვლილება), რომლის მიხედვითაც შეფასება უნდა განხორციელდეს 2 წელიწადში ერთხელ

საზოგადოების სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფების გამოკითხის/ინტერვიუების საშუალებით. ჯერჯერობით ასეთი გამოკითხვა საქართველოში არ ჩატარებულა (გარდა დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული გამოკითხვისა), ამიტომ არ გვაქვს რეალური სურათი ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერებისა და ბუნებისდაცვითი საქმიანობებისადმი მისი მხარდაჭერის თაობაზე.

ბიომრავალფეროვნების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე www.biomonitoring.moe.gov.ge. ამავე ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია ინფორმაცია შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების ინტენსივობა, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები, საძოვრების გამოყენების ინტენსივობა, ინფრასტრუქტურის ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე, დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობი, მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე კვალიფიციური პერსონალის მიერ მართული დაცული ტერიტორიები, ბუნების დაცვის ზონები.

***ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებში***

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის №26 ბრძანებით დამტკიცებული „დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის თანახმად სააგენტოს საქმიანობის ერთერთი მიმართულებაა დაცულ ტერიტორიებზე მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევების ორგანიზება, დაკვირვების მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგი ხორციელდება დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და მისი ტერიტორიული ორგანოების, სხვადასხვა სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ასევე, ინდივიდუალური პროექტების საფუძველზე.

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებული დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების თანახმად, ადმინისტრაციების მიერ უნდა მიმდინარეობდეს დაცულ ტერიტორიებზე კანონმდებლობით დაშვებული საქმიანობების, ბუნებრივი ეკოსისტემებისა და სახეობების აღრიცხვა და მონიტორინგი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების ორგანიზება. სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე მათ ასევე ევალებათ სხვა პერიოდულ ანგარიშებთან ერთად, ყოველწლიური ბუნების მატიანის შედგენა და სააგენტოსათვის წარდგენა. ადმინისტრაციების მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია კი

პერიოდულად თავსდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე. სააგენტოს მიერ მზადდება ასევე ყოველწლიური ანგარიშები, რომელიც მოიცავს სააგენტოს საქმიანობის თითოეულ სფეროს, ანგარიშები იგზავნება სხვადასხვა სტრუქტურებში. როგორც ბუნების მატიანეები, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყოველწლიური ანგარიშები საჯაროა. დაინტერესებულ მხარეებს მათი მიღება შეუძლია სააგენტოსათვის მიმართვის საფუძველზე.

***ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ***

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად გარემოს დაცვის სამინისტრო ყოველწლიურად ამზადებდა, ხოლო 2011 წელს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად მოამზადებს ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ. ეროვნული მოხსენება მოიცავს თავს ბიომრავალფეროვნების შესახებ, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს: სახეობები, ეკოსისტემები და ჰაბიტატები, დაცული ტერიტორიების, ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული გეგმა. 2001. 2002, 2003, 2004 და 2005 წლების ეროვნული მოხსენებები განთავსებულია ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე http://aarhus.ge/index.php?page=105&lang=geo, ხოლო 2006 წლის ეროვნული მოხსენება არ არის დამტკიცებული და შესაბამისად გამოქვეყნებული. აღნიშნულ ეროვნულ მოხსენებებს აქვთ უფრო მდგომარეობის აღწერითი ხასიათი და მათი მომზადებისას არ გამოიყენებოდა საერთაშორისოდ შეთანხმებული ინდიკატორები.

გარემოს დაცვის მინისტრის მიერ ახლახან დამტკიცდა 2007-2009 წლების ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, დოკუმენტის სამუშაო ვერსია განთავსებულია ვებ-გვერდზე http://soegeorgia.blogspot.com/p/blog-page_08.html (ბლოგი აშუქებდა საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შემუშავების პროექტის მიმდინარეობას). უკანასკნელი ეროვნული მოხსენების მომზადებისას შეძლებისდაგვარად იქნა გამოყენებული UNECE-ს სახელმძღვანელო ინდიკატორებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშების მომზადების თაობაზე, რომელიც ცენტრალური ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის რეკომენდირებული იქნა „გარემო ევროპისათვის“ მინისტრთა ბელგრადის კონფერენციის მიერ (2007). ცოცხალი გარემოს დაცვის სფეროში აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით მოხსენების მომზადების სირთულეს წარმოადგენდა მონიტორინგის სისტემის არ არსებობის გამო ცალკეული სახეობებისა და ეკოსისტემების მდგომარეობის შესახებ რაოდენობრივი მონაცემების არარსებობა.

*სტატისტიკური მონაცემები*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველწლიურად ვებ-გვერდზე ათავსებს სტატისტიკურ პუბლიკაციას „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა“ (http://www.geostat.ge/). აღნიშნული პუბლიკაცია მოიცავს მონაცემებს საქართველოს ტყის ფონდის შესახებ, ტყის ხანძრების, ტყის აღდგენა-გაშენების, ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის, ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობის, ტყის უკანონო ჭრების, დაცული ტერიტორიების, დაცულ ტერიტორიებში დაცული ცხოველების, ფრინველების, დაცული ტერიტორიების შენახვაზე დანახარჯების შესახებ. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებს აწვდიან ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტო და გარემოს დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

სტატისტიკური მონაცემების მომზადება დაცული ტერიტორიების სააგენტოში მიმდინარეობს ტერიტორიული ადმინისტრაციების მოწოდებული ინფორმაციისა და სააგენტოს ცენტრალური აპარატის ინფორმაციის ბაზაზე. ტერიტორიული ადმინისტრაციების ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების უშუალო მოვალეობას წარმოადგენს სამეცნიერო-სამონიტორინგო სამუშაოების წარმოება და დახმარების გაწევა კვლევით პროცესში ჩართული სხვა ინსტიტუციების წარმომადგენელი პირებისათვის. სპეციალური მეთოდიკით განხორციელებულ საველე სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, მათ მიერ წარმოებული და განახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე, ისინი წელიწადში ორჯერ ახორციელებენ დამუშავებული კვლევა-მონიტორინგის ანგარიშების, გეგმებისა და პროგრამების წარდგენას სააგენტოსათვის.

თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას აწარმოონ ცხოველთა სრულყოფილი და რეგულარული აღრიცხვები, კრებულში მოცემული მონაცემების სანდოობა დაბალია. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზებია კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილოების უქონლობა, სპეციალურად მონიტორინგსა და კვლევებზე გათვალისწინებული დაფინანსების არარსებობა.

2011 წელს, მომხდარი რეორგანიზაციის შედეგად, შეცვლილია არსებული ტყის რესურსების მართვისა და მონიტორინგის სისტემა. ყოფილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის ფუნქციების გადანაწილების შედეგად, როდესაც ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის სამინისტრო და მეორეს მხრივ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსები სამინისტრო, შეიქმნა ბუნებრივი რესურსების სააგენტო, რომელსაც დაექვემდებარა ყოფილი სატყეო სააგენტო, მის შემადგენლობაში მყოფი ტყის მართვის დეპარტამენტის სტატუსით.

გარემოს დაცვის სამინისტროში მოქმედი გარემოს დაცვის ინსპექციის გაუქმების შემდეგ კი ტყის რესურსების მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრა ამავე ბუნებრივი რესურსების სააგენტოში მოქმედ მონიტორინგის დეპარტამენტს. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 18 მარტის №1 ბრძანების თანახმად დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დებულების თანახმად, მათ ფუნქციებში შედის ტყის ფონდის მონიტორინგის განხორციელება, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება, აღრიცხვა და ანალიზი.

თუმცა, მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, დღესდღეობით კვლავაც არ მიმდინარეობს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტყის მერქნითი რესურსების სრულყოფილი ინვენტარიზაცია. ამ საქმიანობის განხორციელება ევალება ხანგრძლივვადიანი სარგებლობის ლიცენზიის მფლობელებს. თუმცა ლიცენზიით გაცემული ტერიტორიებში ტყის ფონდის მხოლოდ ნაწილია მოქცეული, შესაბამისად, იქ განხორციელებული ინვენტარიზაცია რაც არ გვაძლევს ქვეყნის ტყის ფონდის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციის და სათანადო სანდოობის ხარისხს.

***საქართველოს ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრი***

ბიომრავალფეროვნების კონვენციის 18.3 მუხლის შესაბამისად კონვენციის ფარგლებში შექმნილია ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი (Clearing-House Mechanism (CHM)), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კონვენციის ეფექტურ განხორციელებას შესაბამისი საინფორმაციო მომსახურების, ტექნიკური თანამშრომლობის, ცოდნის გაზიარებით გზით. CHM შედგება კონვენციის ვებგვერდისაგან და ეროვნული რესურს-ცენტრების ქსელისაგან. საქართველოში ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრი შეიქმნა - www.chm.moe.gov.ge GEF- ს, UNDP-სა და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. რესურს-ცენტრი ჯერჯერობით არ არის ჩართული საერთაშორისო ქსელში. ვებ-გვედზე განთავსებულია ინფორმაცია საქართველოს ბიომრავალფეროვნების (სახეობები და ჰაბიტატები), საფრთხეების, კანონმდებლობის, საერთაშორისო ვალდებულებების, წითელი ნუსხის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ორგანიზაციების და სხვა, ბიომრავალფეროვნებსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ვებ-გვერდზე განთვსებული ინფორმაცია საჭიროებს მნიშვნელოვან შევსებას, მუდმივ განახლებას. ამასთან უნდა მოხდეს მისი ჩართვა საერთაშორისო ქსელში.

***ორჰუსის ცენტრი***

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მისიის საქართველოში და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით 2005 წელს საქართველოში შეიქმნა ორჰუსის

ცენტრი, რომელიც ხელს უწყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობას მუდმივად განახლებადი ვებ გვერდის, გარემოსდაცვითი ბიბლიოთეკისა და სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებით. http://aarhus.ge/index.php?lang=geo&page=17 ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებულია გარემოსდაცვითი და მათ შორის ბიომრავალფეროვნების დაცვის კანონმდებლობა, სტრატეგიული დოკუმენტები, დოკუმენტები საჯარო კონსულტაციებისათვის. სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მომზადებული ანგარიშები, ინფორმაცია გარემოსდაცვითი ორგანიზაციების შესახებ.

***ვებ-გვერდები, გამოცემები, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები***

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე http://www.apa.gov.ge/ თავსდება მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაცული ტერიტორიებისა და სააგენტოს მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. საიტზე განთავსებულია დაცული ტერიტორიების ინტერაქტიული რუკა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით შექმნილი ვებ-გვერდი www.biodiversity-georgia.net მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე აღწერილი სახეობების ჩამონათვალს, ინფორმაციას მათი მდგომარეობის შესახებ, სურათებს, არეალის რუკებს. ვებ-გვერდის მიზანია მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ბიომრავალფეროვნება. ვებ-გვერდის შევსება მიმდინარეობს ეტაპობრივად.

საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია გარემოს დაცვის სამინისტროსა და წითელი ნუსხის ეროვნული კომისიის ოფიციალურ საიტზე http://red-list.ge/. ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია წითელი ნუსხის სახეობების მხოლოდ ნაწილის შესახებ.

აღნიშნული ვებ-გვერდების გარდა ბიომრავალფეროვნების დაცვასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასავრცელებლად როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) ელექტრონული ქსელები. სოციალურ ქსელ facebook-ში შექმნილია გვერდი საქართველოს ბიომრავალფეროვნება.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მიერ ინიცირებული იქნა ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც მიმართული სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე. „ბაღის ფრინველთა საათი“ ტარდება 2009 წლის შემდგომ

ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღის (22 მაისი) აღსანიშნავად და მასში ჩართულია საქართველოს 358 საჯარო სკოლის 7000 მოსწავლე. საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებზე კამპანიის განხორციელება დაიწყო 2010 წლიდან და მოიცვა 250 საჯარო სკოლა. აღნიშნული კამპანიები ტარდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) ხელშეწყობით. მათივე დახმარებით რეგულარულად გამოიცემა საინფორმაციო ფურცლები (ბიოტოპიკები). მნიშვნელოვანია, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მიერ შემდგომშიც გაგრძელდეს და ინიცირებული იქნეს მსგავსი კამპანიები.

საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორის როლი. საზოგადოების ინფორმირება, განათლება და ცნობიერების ამაღლება არასამთავრობო სექტორის საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. WWF-ის კავკასიის წარმომადგენლობის, CENN-ის, RECC-ის, ნაკრესის, საქართველოს მწვანეების, ეკოხედვას/ECOVISION და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე ხორციელდება საზოგადოების ინფორმირების კამპანიები და სხვა ღონისძიებები ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სფეროში.

გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებისა და მასმედიის მიერ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მხარდაჭერის უზრუნველყოფა იყო CEPF-ის მიერ 2005-2010 წლებში კავკასიის ეკორეგიონში განხორციელებული პროგრამის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება. ამ მიმართულების ფარგლებში პროგრამის მიერ მხარდაჭერილი იქნა ჟურნალ „მშვენიერი საქართველოს“ გამოცემა, გადაღებული იქნა დოკუმენტური ფილმი „ნიამორის დაბრუნება“, გამოცემული იქნა წიგნი „კავკასია - ბუნების საგანძური“. პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა საგაზეთო სტატიები, დაიჯესტები, რადიოგადაცემები, სარეკლამო რგოლები, ფოტოგამოფენები, კალენდრები. CEPF-ის მიერ საქართველოში მხარდაჭერილი იქნა საინტერესო ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივ მმართველობის ორგანოებსა და ჟურნალისტებს შორის თანამშრომლობის განვითარებაზე. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს ორ რეგიონში შეიქმნა ჟურნალისტების ქსელი, ასევე ჩატარდა ტრენინგები ჟურნალისტებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის. CEPF-ის მხარდაჭერით კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ ეკოლოგიური თემებით დაინტერესებულ ჟურნალისტებს გაეწიათ სათანადო კონსულტაციები. ჩატარდა 11 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 120 ჟურნალისტმა, ადგილობრივი მმართველობის 40 და არასამთავრობო ორგანიზაციების

45-მა წარმომადგენელმა საქართველოდან და აზერბაიჯანიდან. ორგანიზებული იქნა 2 ტრანსასაზღვრო მედია-ტური.

მნიშვნელოვანი და საკმაოდ ეფექტური ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზების მიზნით.

დაცულ ტერიტორიების დამხმარე ზონებში ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ტარდება შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ლექცია-სემინარები სხვადასხვა მიზნობრივი და ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ტრენინგები, კონფერენციები. დაცულ ტერიტორიებზე ეწყობა ეკო-ტურები, ეკო-ბანაკები, მედია ტურები. ტარდება სხვადასხვა სახის გარემოსადცვითი აქტივობები, ეწყობა შეხვედრები დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონებში მცხოვრებ მოსახლებასთან. ე.წ მწვანე კალენდრის მიხედვით, პერიოდულად ხდება სხვადასხვა გარემოსდაცვითი დღის აღნიშვნა. სააგენტოს ინიციატივით ეწყობა სპეციალური კონკურსები სკოლის მოსწავლეებისათვის, 2011 წელს ჩატარდა კონკურსი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გამარჯვებულთათვის კი განხორციელდა ეკო-ტური ერთერთ დაცულ ტერიტორიაზე. რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში გახსნილია საინფორმაციო კუთხეები დაცული ტერიტორიების შესახებ. ამავე დროს პერიოდულად მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ბეჭდური მასალის გამოცემა, რომელიც სააგენტოს მიერ ვრცელდება უსასყიდლოდ, მიმდინარეობს სუვენირების დამზადებაც. გასულ 2011 წელს ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 70 000 ადამიანმა, რაც წინა წელთან შედარებით 1,5-ჯერ მეტია. სააგენტოს მიერ განხორციელდა ასევე დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების მოსახლეობის გამოკითხვა საზოგადოების აღქმის, სოციალური გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით. გასულ წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით მოსახლეობის ცნობადობა დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ საკითხებში დაახლოებით 15%-ით არის გაზრდილი ბოლო სამი წლის განმავლობაში. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ რეგიონში საოჯახო სასტუმროებისა და ტრადიციული საქმიანობების განვითარებამ ხელი შეუწყო მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. სააგენტოს მიერ ხდება ასევე სპეციალური პროგრამების შემუშავება ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონებში მოსახლეობის ინფორმირებისა და მათი გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართვის მიზნით. IUCN მიერ 2010 წელს მომზადებულ იქნა „ნორჩი რეინჯერების პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სკოლის მოსწავლეების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, ჩატარდა ექსკურსიები. საქართველოს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მომზადებულია ასევე

სატელევიზიო გადაცემა, დოკუმენტური ფილმის სახით, რომლის ჩვენებაც მიმდინარეობს ერთ-ერთი ტელეარხის მეშვეობით. საქართველოს დაცული ტერიტორიების, არსებული ბიომრავალფეროვნების, დაცულ ტერიტორიებზე დანერგილი ეკოტურისტული პროდუქტების, მიმდინარე პროექტებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.apa.gov.ge). საიტზე განთავსებულია ინტერაქტიული რუკა. შექმნილია სპეციალური გვერდი სოციალურ ქსელ Facebook-ში (Agency of Protected Areas).

## 1.3 გამოვლენილი პრობლემები

- საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ასევე არ არის განსაზღვრული ინფორმაციის სახეები (მონაცემთა ბაზები) ბიომრავალფეროვნების დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, რომელიც უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სამთავრობო უწყებებს და იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, მათ შორის ელექტრონული ფორმით. მიზანშეწონილია, რომ განისაზღვროს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობის სფეროში საჯარო მონაცემთა ბაზის კომპონენტები, შესაბამისი მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები და გამოყენების სფეროები.

ვინაიდან ამჟამად ბიომრავალფეროვნების დაცვა და ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობაზე პასუხისმგებელია ორი სხვადასხვა სამინისტრო, საჭიროა ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების სფეროში მათი კოორდინირებული ქმედებები.

- მცირეა გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზების შექმნის, ასევე მისით სარგებლობის ცოდნა და გამოცდილება.

- ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურს არ გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსები და კვალიფიცირებული კადრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებული ეფექტური საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, ასევე მათი ეფექტურობის შესაფასებლად. ამჟამად სამსახურს ამ მიმართულებით დახმარებას უწევს პროექტი „ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ასევე საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) ექსპერტი. თუმცა

მნიშვნელოვანია, რომ სამსახურმა მომავალშიც შეძლოს საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ამისათვის მიზანშეწონილია ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურმა შეიმუშაოს საზოგადოების ინფრომირებისა და ცნობიერების ამაღლების კონცეფცია და სტრატეგია და განახორციელოს ის საზოგადოებისთან ურთიერთობის სამსახურთან თანამშრომლობით.

- არ ტარდება სოციალური გამოკითხვები და სპეციალური კვლევები საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის დასადგენად, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა ეფექტური საკომუნიკაციო ღონისძიებების დასაგეგმად. ამ მიმართებით შესაძლებელია სოციალური ქსელების გამოყენება.

- ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების (მათიც კი, ვისი საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობასთან, თევზჭრისა და ტყითსარგებლობის ლიცენზიანტები, სამონადირეო მეურნეობების მფლობელები) ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების საკითხებში დაბალია. მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნულ მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საინფორმაციო/ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების განხორციელება.

- დაბალია გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირებულობის დონე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ. (ამაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველოში დაიშვა ნადირობა „წითელი ნუსხის“ სახეობებზე). მიზანშეწონილი სპეციალური საგანამანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, რომელიც მიმართული იქნება აღნიშნულ ჯგუფზე.

- მიუხედავად საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული პროექტებისა და პროგრამებისა, ექსპერტთა ნაწილის მიერ არსებული ტენდეცია ფასდება უარყოფითად - ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია საქართველოში გაცილებით უფრო ნაკლებ პრიორიტეტულია ამჟამად და საზოგადოების ცნობიერების დონეც ამ მიმართულებით რჩება ძალიან დაბალი. ამაზე მიუთითებს მაგალითად ბრაკონიერობის ჯერ კიდევ მაღალი დონე.

ამ მიმართულებით საჭიროა მეტად ფოკუსირებული და ხანგრძლივვადიანი პროგრამების განხორციელება. შესაძლოა ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამები იყოს უფრო ეფექტური, მათი განმეორებითი და მასშტაბური ხასიათის გათვალისწინებით

(მაგალითად სკოლის მასწავლებელთა ტრენინგები, ხანგრძლივად გამოყენებადი მასალების შემუშავება).

- მიუხედავად, განხორციელებული პროექტებისა, ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება, ასევე ბიომრავალფეროვნების კარგვის სოციალური და ეკონომიკური შედეგები კვლავ ნაკლებ აქტუალური თემაა მედიისათვის. ადგილობრივი ტელეარხების მიერ იშვიათად გადაიცემა ქართულ ენაზე გახმოვანებული სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. საქართველოს ბიომრავალფეროვნებასა და მის მნიშვნელობაზე არსებული რამდენიმე დოკუმენტური ფილმის ჩვენება ძალიან იშვიათად ხდება (ძირითადად ტელეარხ „ერთსულოვნებას“ მიერ). ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება არ იყო არც ერთი პოპულარული თოქშოუს თემა.

- ბუნების დაცვის საკითხები ნაკლებად საინტერესოა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის. ფაქტიურად არ არსებობს ინფორმაცია ადგილობრივ დონეებზე ბიომრავალფეროვნებისა და მისი შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ. არ არსებობს შესაბამისი მოტივაცია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის.

## 2. საზოგადოების მონაწილება ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

### 2.1 საკანონმდებლო ჩარჩო და აღსრულების მდგომარეობა

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლები ეხება საზოგადოების მონაწილეობას საქმიანობათა განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იმ გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსთან.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გარემოს დაცვის ძირითად პრინციპად განსაზღვრულია „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობისა პრინციპი“. მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვით სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღების პროცესში (მუხლი 6).

საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები კანონმდებლობის, პროგრამების ან სტრატეგიების სამუშაო ვერსიების წინასწარ განხილვებში, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინონ ბიომრავალფეროვნებაზე. ზოგადად, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამინისტროების მიერ ხდება გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შემუშავებული დოკუმენტების სამუშაო ვერსიების განთავსება ვებ-გვერდებზე. ამასთან ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე თავსდება საქართველოს პარლამენტში განსახილველად შესული კანონპროექტები.

2011 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობის მიერ გამოიცა რამდენიმე ნორმატიული აქტი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე ნადირობის დაშვების მიზნით. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, აღნიშნული ქმედება დაუშვებელია, მანამ, სანამ არ იქნება შემუშავებული ნადირობისათვის ნებადართულ ტერიტორიებზე კონტროლის, მონიტორინგის, ბრაკონიერობასთან ბრძოლის, ცხოველთა დაცვისა და აღწარმოების კონკრეტული მექანიზმები. ზოგიერთ სახეობაზე კი საერთოდ დაუშვებელია ნადირობა, მათი დღევანდელი სტატუსიდან გამომდინარე. საზოგადოების აქტიური ძალისხმევის შედეგად ნადირობა კვლავაც აკრძალული დარჩა სახელმწიფო ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში და მათ გარშემო არსებულ 500 მეტრიან ზონაში.

2011 წელს განხორციელებული რეფორმების შედეგად, მაშინდელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემა გადაეცა ენერგეტიკის სამინისტროს და შეიქმნა ერთის მხრივ გარემოს დაცვის სამინისტრო, მეორეს მხრივ კი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, თუმცა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების საფუძველზე დაცულ ტერიტორიებისა და იქ არსებული ბუნებრივი რესურსების მართვა, კვლავ დარჩა გარემოს დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში.

არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოებისათვის დღესდღეობით უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს საქართველოს ტყის სექტორში დაწყებული რეფორმისა და ახალი სატყეო კანონმდებლობის შემუშავების საკითხი. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სატყეო სექტორში დაწყებული რეფორმების ერთ-ერთ დადებით მხარედ შესაძლოა აღინიშნოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ საჯარო განხილვებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მიმართ მზადყოფნა და ხშირ შემთხვევაში მსგავსი შეხვედრების მათ მიერ ინიცირება. აქვე აღსანიშნავია ტყის შესახებ შემუშავებული კანონპროექტისა და საჯარო ხელშეკრულების საკითხი.

აღნიშნული დოკუმენტები თავდაპირველად გავრცელდა ინგლისურ ენაზე, რაც სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. მოთხოვნის შემდეგ, მოხდა კანონპროექტის თარგმნა ქართულ ენაზე, თუმცა საიჯარო ხელშეკრულების გაცნობა ჯერ-ჯერობით კვლავ მხოლოდ ინგლისურ ენაზეა შესაძლებელი. საზოგადოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნაზე კანონპროექტში, ტყის მართვის პროცესში  გარემოზე ზემოქმედების ნებართვების პროცედურების ასახვის თაობაზე სამთავრობო სექტორის მიერ თანხმობა იქნა გაცხადებული, რაც აისახა კანონპროექტის შუალედურ სამუშაო ვერსიაშიც, თუმცა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისათვის ბოლოს წარმოდგენილ ვერსიაში აღნიშნული საკითხი კვლავ არ არის ასახული სასურველი სახით.  აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად მთავრობის დაგეგმილი პროცესის სწრაფი მსვლელობისა, საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, კანონპროექტის მიღება და ტყეების ხანგრძლივვადიანი იჯარით გაცემა ამ ეტაპზე შეჩერებულია და მიმდინარეობს განხილვის პროცედურები.

გარკვეული პრობლემები რჩება საჯარო ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისათვის მიწოდების კუთხითაც. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდების შესახებ ოფიციალურ მოთხოვნაზე რეაგირება გაკეთდა მხოლოდ გარკვეული ზეპირი ახსნა-განმარტების სახით და არ მოხდა სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება წერილობითი სახით.

ექსპერტების აზრით აუცილებელია  განისაზღვროს ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარე, ჩატარდეს დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და მოხდეს თითოეული მათგანის ჩართულობა სხვადასხვა საკითხებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა შესაძლებელი იყოს ყველა მხარის მოსაზრების გათვალისწინება და შესაბამისად პროცესების უკეთ დაგეგმვა და სწორი გადაწყვეტილებების მიღება.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები, მხოლოდ რამდენიმე მაგალითს წარმოადგენს საზოგადოების მოსაზრებებისადმი მთავრობის რეაგირებისა, თუმცა წარმოდგენილი სურათი მთლიანობაში გვიჩვენებს, აუცილებელია თანამშრომლობის გაძლიერება სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის, ინფორმაციისა და რეკომენდაციების გაცვლის კუთხით, მიღებული გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობისა და სექტორებს შორის ნდობის გაზრდის მიზნით, რაც მთავრია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვისათვის.

საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ ინდივიდუალური ნორმატიული აქტების გამოცემაში რეგულირდება „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სამუშაო ვერსიის განთავსება ვებ-გვერდზე, ხოლო საზოგადოების მხრიდან კომენტარების წარდგენის ვადაა 20 დღე.

კანონმდებლობით დადგენილია საზოგადოების მონაწილეობა ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული მართვის გეგმების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„შიდა წყალსატევისა და თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 19 აგვისტოს №163 ბრძანების შესაბამისად, შიდა წყალსატევისა და თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმა (რომელსაც ამზადებს თევზჭერის ლიცენზიის მფობელი) უნდა განთავსდეს ბუნებრივი რესუსრების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რის შედეგაც დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან 15 კალენდარული დღის განმავლობაში სააგენტოს წარუდგინონ გეგმასთან და კავშირებული შენიშვნები და წინადადებები. აღნიშნულის შემდგომ სააგენტო აწყობს გეგმის განხილვას დაინტერესებული და გეგმის შემმუშავებელი პირების მონაწილეობით. სააგენტო მართვის გეგმას შენიშვნების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამტკიცებს წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ან ამავე ვა დაში შენიშვნებით უბრუნებს ლიცენზიის მფლობელს, რომელიც ვალ დებულია სამი თვის ვადაში სააგენტოს დასამტკიცებლად წარუდ გინოს მართვის გეგმა შენიშვნების გათვალის წინებით (აღნიშნულ შემთხვევაში მართვის გეგმის დამტკიცება გადის ზემოთ აღნიშნულ პროცედურას).

სამონადირეო მეურნეობების მართვის გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით მოქმედებს “სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის” შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 22 აპრილის ბრძანება 16. თუმცა ამ ნორმატიული აქტით განსაზღვრული პროცედურები ხორციელდება ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ[1]. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა (რომელიც მზადდება სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის მფლობელის მიერ) ქვეყნდება ბუნებრივი რესუსრების

[1] ამჟამად უკვე მომზადებულია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლითაც უახლოეს ხანში ჩანაცვლდება “სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის” შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 22 აპრილის ბრძანება N16

სააგენტოს ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ 20 დღის განმავლობაში სააგენტოს წარუდგინონ გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები. აღნიშნული შემდგომ სააგენტო აწყობს გეგმის საჯარო განხილვას. შემდგომ გეგმა მტკიცდება შენიშვნების გათვალისწინებით ან უბრუნდება ლიცენზიანტს გადასამუშავებლად.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ინფორმაციით ჯერჯერობით არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ აღნიშნული მართვის გეგმების განხილვებში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების წარმომადგენლებს. აღნიშნულის მიზეზი არის შემდგომი გარემოებები:

- არ ვრცელდება ინფორმაცია მართვის გეგმების ვებ-გვერდზე განთავსების შესახებ;
- დაინტერესებული მხარეებიდან შენიშვნების წარდგენის ვადები არის მცირე;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მართვის გეგმების განხილვის შესახებ ფაქტიურად ხელმიუწვდომელია იმ მუნიციპალიტეტებისათვის, სადაც მდებარეობს სამონადირეო მეურნეობა ან შიდა წყალსატევი;
- მართვის გეგმების განხილვა ტარდება თბილისში, რის გამოც ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლების შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მის განხილვაში შეზღუდულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ გააჩნიათ ინფორმაცია ასეთი განხილვის მოწყობის შესახებ.

ტყითსარგებლობის გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ასევე ჯერჯერობით მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 26 სექტემბრის ბრძანება „672 „ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე. თუმცა ბრძანებით განსაზღვრული პროცედურა ამჟამად ხორციელდება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. ტყითსარგებლობის გეგმები ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ 30 დღის განმავლობაში სამინისტროს წარუდგინონ გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები. ხოლო შემდგომ სამინისტრო აწყობს საზოგადოებრივ განხილვას დაინტერესებული და გეგმის შემმუშავებელი პირების მონაწილეობით. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში გეგმა უბრუნდება გეგმის შემმუშავებელ პირს, ხოლო გადამუშავებული გეგმა ხელახლა გადის ზემოთ აღწერილ პროცედურას.

2009 წლიდან დღემდე ჩატარებულია ტყითსარგებლობის გეგმების 39 საჯარო განხილვა. აქედან 8 შეხვედრას, სამინისტროს დარგობრივი სამსახურების

წარმომადგენლების, ლიცენზიის მფლობელებისა და ტყითსარგებლობის გეგმების პროექტების ავტორების გარდა ესწრებოდნენ როგორც დამოუკიდბებლი ექსპერტები და დაინტერესებული პირები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები (მწვანე ალტერნატივა, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“, ასოციაცია „ელკანა“, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამული ოფისი (WWF Caucasus), აგრარული უნივერსიტეტი, გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი, ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი და სხვა). ზემოაღნიშნული საჯარო განხილვების შედეგების საფუძველზე 7 ტყითსარგებლობის გეგმა დაუბრუნდა ავტორს გადასამუშავებლად, ხოლო ერთს მიეცა უარყოფითი დასკვნა[2].

ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად კონვენციის მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობა იმ პროექტების ეკოლოგიურ ექსპერტიზაში, რომლებმაც შესაძლოა მავნე ზემოქმედება მოახდინონ ბიომრავალფეროვნებზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საზოგადოების ასეთი უფლება განსაზღვრულია კანონით „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (2007). კანონის თანახმად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (დამტკიცებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 9 მარტის №8 ბრძანებით) ნებართვის მისაღებად სხვა გზშ-ს ანგარიშსა და სხვა დოკუმენტებთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგების მასალები, ძირითადი უთანხმოებების მითითებით.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლი ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წადგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალურ და იმ ადმინისტრაციული ერთეულის რეგიონულ/ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორცილება.

დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებასა და ადგილმდებარეობას;

[2] საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს 2012 წლის 14 მარტის №08-09/667 წერილი „ეკოვიჟენისადმი“.

- მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლებათ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის გზშ-ს ანგარიშის) გაცნობა;
- საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ვადას;
- გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს.

საქმიანობის განმახორციელებლი დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში იღებს და იხილავს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარდგენილ შენიშვნებს და წინადადებებს. დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა საქმიანობის განმახორციელებლი აწყობს გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვა ეწყობა იმ ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. ყველა მისარების შენიშვნის გათვალისიწნებით მზადდება გზშ-ს ანგარიშის საბოლოო ვერსია. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებლი ვალდებულია უზრუნველყოს წერილობითი დასაბუთება და მათი გაგზავნა შენიშვნის ავტორისათვის. გზშ-ს ანგარიში საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ ნაწილისა, რომლის კონფიდენციალობის თაობაზეწ საქმიანობის განმახორციელებლს წინასწარ წარდგენილი აქვს განცხადება.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები და შესაბამისი ინფორმაცია მისი საჯარო განხილვის შესახებ ქვეყნდება გარემოს დაცვის სამინისტროსა და ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდებზე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გზშ ესაჭიროება მხოლოდ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საქმიანობებს. საქმიანობათა ჩამონათვალი არ მოიცავს მთელ რიგ საქმიანობებს, რომლებიც მითითებულია ორჰუსის კონვენციის  დანართში. ამასთან, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შესაძლებელია საქმიანობის განთავისუფლება გზშ-საგან, თუ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას (მუხლი 11). ამ შემთხვევაში საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღარ ხორციელდება.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები (CENN, „მწვანე ალტერნატივა“) ახორციელებენ კვლევებს გზშ-ს სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად მონაწილეობენ გზშ-ს ანგარიშების განხილვის პროცესში და მონიტორინგს უწევენ დადგენილი პროცედურების დაცვას. ამ მხრივ აღსანიშნავია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ალტერნატიული ანგარიში – ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში (2011).

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას მონიტორინგს უწევს ორჰუსის ცენტრი, რომლის ვებ-გვერდზეც 2007 წლის შემდგომ ქვეყნდება დამკვირვებლის ანგარიშები გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ (http://aarhus.ge/index.php?page=66&lang=geo). ბოლო, 2011 წლის ანგარიში ეხება საზოგადოების მონაწილეობის ბარიერებს. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით ეს ძირითადი ბარიერებია:

- საკანონმდებლო ხარვეზები;
- საკმარისი პოლიტიკური ნების უქონლობა;
- არასაკმარისი ფინანსური რესურსები;
- ორმხრივი უნდობლობა;
- ინფორმაციის ნაკლებობა;
- საზოგადოების დაბალი ცნობიერება;
- საქმიანობის განმახორციელებლის დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება.

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996) საქართველოს კანონის თანახმად მოსახლეობასა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარების, შემცირებისა და გაუქმების გადაწყვეტილებების, მენეჯმენტის გეგმების, ადმინისტრაციების დებულებების და სხვა დოკუმენტების განხილვისა და შესწორებების პროცესში, აგრეთვე დაცული ტერიტორიებისა და ბუფერული ზონების მოვლა-პატრონობისა და მართვის საქმიანობაში (მუხლი 22).

საქართველოს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების მიხედვით, საუწყებათაშორისო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის მიზნით დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან შექმნილია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები,

რომლებიც კონსულტაციასა და მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევენ ადმინისტრაციებს ინტეგრირებული მართვის პროცესში.

მოსახლეობის ჩართულობისა და დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით თუშეთის, ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის ჩამოყალიბებულია მეგობართა ასოციაციები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ადგილობრივი თემის, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებით. მეგობართა ასოციაციების ფუნქციებია დაცული ტერიტორიების მართვის ხელშეწყობა, ფინანსური სახსრების მოზიდვა, შემეცნებით-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, შესაბამისი ლიტერატურის გავრცელება, საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და სხვა.

თუშეთისა და ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციების მიერ მიმდინარებს თემთა კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება (გეგმა მომზადებულია I/ ჩღ შ მიერ, მტაცებლების კონსერვაციის პროექტის ფარგლებში (მიმდინარე). თუშეთის მეგობართა ასოციაციამ ამავე პროექტის ფარგლებში განახორციელა თუშეთის სოფ. ჩიღოს მიმდებარე საძოვრების მდგრადი გამოყენების პროექტიც (2011). თუშეთის მეგობართა ასოციაციამ ასევე მიიღო ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს (სოროსი) გრანტი ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობების განხორციელების მიზნით (2011). პროექტის ფარგლებში მოეწყო ეკო-ბანაკი სტუდენტებისათვის, ასევე მათ ჩაუტარდათ ე.წ „ტრენერების ტრენინგი“, რის შემდეგადაც სტუდენტებმა ჩაატარეს სპეციალური ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისათვის დაცული ტერიტორიების შესახებ. ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციამ ევრაზიის პარტნიორობის ფონდისაგან 2011 წელს მიიღო გრანტი კოლხური ხოხბის აღდგენასთან დაკავშირებით.

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები ყოველწლიურად ატარებენ ადგილობრივ მოსახლეობაში სოციოლოგიურ გამოკითხვას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ გამოავლიონონ მოსახლეობის ინფორმირებულეობის დონე და დამოკიდებულება დაცული ტერიტორიების მიმართ შემდეგი მიმართულებებით:

- მოსახლეობის გათვითცნობიერება;
- მოსახლეობის შიში და მოლოდინი დაცულ ტერიტორიებთან მიმართბეაში;
- სარგებელი და ზარალი;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;

– დაცული ტრეიტორიების განითარების პროექტში, მენეჯმენტის გეგმაში მონაწილეობა (მიიჩნევს თუ არა მოსახლეობა, რომ ჩართულია სამენეჯმენტო პროცესში.

## 2.2. გამოვლენილი პრობლემები

- საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საკანონმდებლო, პოლიტიკური და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ხდება ამ დოკუმენტების სამუშაო ვერსიების გამოქვეყნება საჯარო განხილვებისათვის, მეტწილად ეს განპირობებულია არასამთავრობო სექტორის ან დონორების მოთხოვნით. ჩატარებული კონსულტაციები ატარებს ფორმალურ ხასიათს და რაც მთავარია, იშვიათად ხერხდება რეალური ზეგავლენის მოხდენა გადაწყვეტილებების მიღებაზე.

- არსებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ტყითსარგებლობის, სამონადირეო მეურნეობებისა და თევზმეურნეობის მართვის გეგმების განხილვაში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობას. დადგენილი ვადები არის ძალიან მცირე, ამასთან კანონმდებლობით არ არის დადგენილი საჯარო განხილვის მოწყობა ადგილებზე, თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

- საჯარო განხილვების მიმართ საზოგადოების ინტერესი ჯერჯერობით კვლავ ძალიან დაბალია. რეალურად საზოგადოება ვერ ახდენს ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რაც ერთის მხრივ განპირობებულია მისი მცირე ინფორმირებულობით, ცოდნითა და შესაბამისი გამოცდილების ნაკლებობით, ხოლო მეორე მხრივ იმ გარემოებით, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ საზოგადოების მონაწილეობა არ არის გაცნობიერებული, როგორც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლო ინსტრუმენტი. მთელ რიგ შემთხვევებში საქმიანობის განმახორციელებლი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას და მის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ფონიც. საზოგადოებისათვის გარემოსა და ბიომრავალფეროვნების პრობლემებზე უფრო მეტად აქტუალური სოციალური პრობლემებია. ამის გამო, ამა თუ იმ პროექტით საზოგადოების დაინტერესება უფრო ხშირად დასაქმების პერსპექტივით არის განპირობებული ვიდრე გარემოს პრობლემებით.

## 3. საზოგადოების ცნობიერება და განათლება ბიომრავალფეროვნების საკითხებზე

### 3.1. საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოები

საქართველოს გარემოსდაცვითი განათლების მხარდაჭერის დიდი ტრადიცია აქვს. იუნესკოსა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ ერთობლივად ორგანიზებული მსოფლიოს პირველი სამთავრობოთაშორისი კონფერენცია გარემოსდაცვითი განათლების შესახებ სწორედ თბილისში (მაშინ საქართველოს სსრკ საბჭოთა რესპუბლიკაში) ჩატარდა 1977 წელს. თუმცა ამ კუთხით განსახორციელებელი პრაქტიკული ნაბიჯების განმაპირობებელი პოლიტიკა წლების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური ცვლილებებისა და მთავრობის მიერ გარემოსდაცვითი საკითხებისადმი მინიჭებული პრიორიტეტული ფარდობითობის შესაბამისად იცვლებოდა.

არსებული ქართული კანონმდებლობის თანახმად გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლების მიღება და ცნობიერების ამაღლება აღიარებულია საქართველოს მოქალაქის უფლებად. გარემოს დაცვის ჩარჩო კანონი (კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996) განსაზღვრავს გარემოსდაცვით განათლების როლსა („გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოებრიობის გარემოსდაცვითი დონის ამაღლება და სპეციალისტების მომზადება“) და მნიშვნელობას („გარემოს დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ სავადებულო ცოდნის მინიმუმის დაუფლება“, „გარემოს დაცვის მართვის, ეკოლოგიისა და გარემოსდაცვითი პროფილის სხვა საგნების სპეციალური კურსით სწავლება“) და მოუწოდებს შეიქმნას ერთიანი გარემოსდაცვითი განათლების სისტემა, რომელიც გააერთიანებს აკადემიური ინსტიტუტების ქსელს და განათლების შესაძლებლობებს („სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს“ და „საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს). ამგვარად, არსებული კანონმდებლობა უზრუნველყოფს უწყვეტ გარემოსდაცვით განათლებას სკოლამდელ, ზოგად საგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლესი განათლების დონეებზე (კანონი გარემოს დაცვის შესახებ, ნაწილი III, მუხლი 8 და 9, 1996).

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საერთო სტრატეგიული დოკუმენტებიდან - ძირითადი მონაცემები და მიმართულებები (სადაც მოცემული პერიოდისთვის საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ორიენტირებია განსაზღვრული) - არცერთში არ არის აღნიშნული გარემოსდაცვითი განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, როგორც პრიორიტეტი ან აქტივობა რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში, გარემოსდაცვით განათლებას სექტორულ დოკუმენტებში (ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016) ენიჭება სათანადო ყურადღება და სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე არა ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა განხორციელებული ფორმალური გარემოსდაცვითი განათლების პროფილის გაზრდის, ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

უფრო მეტიც, გარემოს დაცვის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მუშაობს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე "გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის". აღნიშნული დოკუმენტი საკმაოდ ყოვლისმომცველია და ფარავს ფორმალურ, არაფორმალურ საგანმანათლებლო არხებსა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფს და შექმნის ჩარჩოს გარემოსდაცვითი განათლების სფეროში მიმდინარე ყველა აქტივობისთვის საქართველოში.

## 3.2. ბიომრავალფეროვნების საკითხებზე განათლებისა და ცნობიერების ამაღლების არსებული ინსტრუმენტები

### 3.2.1. ფორმალური განათლება

3.2.1.1. ინსტიტუციური თვალსაზრისით საქართველოში სკოლამდელი განათლების ადმინისტრირება წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების პრეროგატივას. მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლამდელი განათლების სარეკომენდაციო შინაარსი განსაზღვრულია „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებით", რომელიც 2010 წელს იქნა იუნისეფის დახმარებით შემუშავებული სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და მოიცავს სწავლისა და განვითარების შედეგების ხუთ სფეროს (სახელდობრ, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება.) 0-1, 1-3, 3-5 და 5-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სტანდარტებში საკმაოდ მკაფიოდ არის ასახული გარემოსდაცვითი საკითხები და მოიცავს სწავლის შედეგებს, რომლებიც

ფოკუსირებულია ბავშვებში გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და გარემოსადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე[3]. აღნიშნულ სტანდარტს ეფუძნება სკოლამდელი განათლების პროგრამაც, რომლის ფარგლებში მოცემული მისაღწევი შედეგები ხუთ საგანმანათლებლო სფეროს მოიცავს (მათ შორის, „სამყაროს აღქმას“) და მასში დიდი ადგილი უკავია ბიომრავალფეროვნების საკითხებსაც.[4]

3.2.1.2. გარემოსდაცვითი განათლება, სახელდობრ „ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა“ საქართველოში ზოგადი განათლების ერთ-ერთ ეროვნული მიზანია (მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის № 84 განკარგულება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ): „მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო.“

გარემოსდაცვითი განათლება (და, განსაკუთრებით, განათლება ბიომრავალფეროვნების საკითხებზე), როგორც მოსალოდნელია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ერთი ცალკეული საგნის, ან საგნობრივი ჯგუფის სახით არ არის შესული (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 გასულ წელს შევიდა ძალაში). გარემოსდაცვით და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული განათლების შინაარსი და შესაბამისი სწავლის შედეგები ინტერდისციპლინურად არის მოცემული და ჩართულია სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგანში სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო - საფეხურზე.

ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ კომპეტენციას რომლებიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების მთელს კურსში სხვადასხვა საგნების სწავლებისას, რომლებიც ითვალისწინებს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნებს და „რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის“. აღნიშნულ გამჭოლ კომპეტენციათაგან ერთ-ერთია ეკოლოგიური წიგნიერება: „ეკოლოგიური წიგნიერება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში”[5].

---

[3] „შემეცნებითი განვითარებისა და ზოგადი ცოდნის“ ერთ-ერთი ქვესაკითხი „ბუნება და ტექნოლოგიები“ გულისხმობს „ბავშვის უნარს გაიგოს და შეიმეცნოს ფიზიკური გარემო, დააკვირდეს, გამოიკვლიოს, ჩაატაროს ექსპერიმენტები იმ პროცესებზე, რომელსაც თვალსაჩინო შედეგი. ამასთანავე, გარემოს შესახებ ცოდნის შეძენით ბავშვი ინფორმაციას იღებს, მაგ., დედამიწის და ცოცხალი ბუნების შესახებ“, ხოლო კრიტიკული აზროვნების განვითარების საშუალებით ბავშვი იყენებს ამ ცოდნას პრაქტიკაში. (ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, 2010 )

[4] სკოლამდელი განათლების პროგრამა ISBN 978-9941-0-1521-2 © ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2011

[5] 2011-2016 სასწავლო გეგემა თავი VIII. მუხლი 48.

გამჭოლი კომპეტენციების მიღმა, გარემოსდაცვითი სწავლა და სწავლება ძირითადად კონსოლიდირებულია საგანთა ორ ბლოკში: საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბლოკში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბლოკში (ბუნებისმეტყველება, ჩემი საქართველო, ბიოლოგია, ბოტანიკა, ქიმია, ფიზიკა) არის შვიდი მთავარი მიმართულება: დაწყებით საფეხურზე ცოცხალი სამყარო (ბიოლოგიის შესავალი), დედამიწა და გარესამყარო (გეოგრაფია და ასტრონომია), ადამიანი და გარემო (სამოქალაქო განათლების საფუძვლები), სხეულები და მოვლენები (ფიზიკისა და ქიმიის ელემენტები), ასევე საბაზო და საშუალო საფეხურებზე მეცნიერული კვლევა-ძიება, ფიზიკური მოვლენები (ფიზიკის საფუძვლები) და ქიმიური მოვლენები (ქიმიის საფუძვლები), რომელთაგან პირველი სამი მოიცავს ინფორმაციას ბიომრავალფეროვნების, ბიომრავალფეროვნების შესაძლო საფრთხეებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებზე. მსგავსადვე, საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკის 11 მიმართულებიდან 3 ფარავს სწავლის შედეგებს, რომელიც კავშირშია ბიომრავალფეროვნებასთან. 2012 წლისთვის მოსალოდნელი ცვლილება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გულისხმობს საგნების არჩევით ბლოკში ახალი საგნის „გარემო და მდგრადი განვითარების“ ჩამატებას, რომელიც სამმოდულიანია („გარემო და მადგრადი განვითრება“, „კონსერვაციული ბიოლოგია“, „გეოეკოლოგია და გარემოს მართვა“) და მოიცავს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სწავლებას.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, მასში ჩართული იყვნენ როგორც დარგის ექსპერტები, ასევე მეცნიერები და პედაგოგები და, შესაბამისად, კარგად უნდა ასახავდეს საგანთან დაკავშირებულ ექსპერტულ ცოდნასა და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს. მეორეს მხრივ, შესაძლოა, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ბიომრავალფეროვნების საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით კვლავაც არსებობდეს პრობლემები, რომლებიც მომდინარეობს სახელმძღვანელოებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომებიდან: ა) არსებული სახელმძღვანელოები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ფართო საგნობრივ და პრაქტიკულ ცოდნაზე, ხოლო დამატებითი დამხმარე მასალები ბევრ საგანში მწირია ან არ არსებობს (განსაკუთრებით ეს არჩევით საგნებს ეხება). გარდა ამისა, მიუხედავად სახელმძღვანელოების ხარისხის მართვის არსებული მექანიზმებისა, გარემოსდაცვით ექსპერტთა მოსაზრებით, სახელმძღვანელოებში ასახული ინფორმაცია ხშირად მწირია, ადგილი აქვს ფაქტობრივ უზუსტობებსაც. ბ) მიუხედავად ფაქტისა, რომ საქართველოს მასშტაბით სკოლათა უმეტესობას აქვს ინტერნეტი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინტენსიურ ტრენინგებს სთავაზობს მასწავლებლებს კომპიუტერულ წიგნიერებაში, ყველა მასწავლებელს არ აქვს საკმარისი უნარი და/ან თავად ინტერნეტი,

რათა პროფესიული განვითარებისთვის შეძლოს ინტერნეტ და სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენება (მანანა რატიანი, 2012).

ცოდნის გადაცემასა და უნარების განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი მასწავლებლებს ენიჭებათ, რომელთაც საკლასო ოთახში უნდა შექმნან სათანადო სასწავლო გარემო და იყვნენ ცოდნის გადაცემის, უნარების, ღირებულებების, დამოკიდებულებების შეძენის მედიატორები. შესაბამისად, მასწავლებელთა სათანადო პროფესიული მომზადება უმნიშვნელოვანესია. ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მასწავლებელთა მასწავლებელთა ბრუნვა დაბალია (რაც ბევრი პარამეტრის მიხედვით პოზიტიური ფაქტი შეიძლება იყოს) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას (და, რა თქმა უნდა, მასწავლებელთა მომზადების პროგრამებსაც, რომლებიც ახდენენ იმ პირთა განათლებას, რომლებიც მოგვიანებით შეუერთდებიან სისტემას) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

2003 წლიდან საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ, მასწავლებელთა პროფესიული მომზადება დღის წესრიგში დადგა. რეფორმის ფარგლებში შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები (ამჟამად მიმდინარეობს დამხმარე დეტალური გზამკვლევების მომზადება) და მასწავლებლებს საშუალება მიეცათ გაევლოთ ტრენინგები როგორც პედაგოგიური, ასევე საგნობრივი უნარების გაუმჯობესების მიზნით.[6]

რეფორმის შემდგომი განათლების სისტემა ზოგად განათლებაში ხარისხის მართვის დამატებით საშუალებად მასწავლებლის სერტიფიცირებასაც მოიცავს. მასწავლებლები ვალდებულნი არიან გაიარონ სულ მცირე ორი გამოცდა: პროფესიულ უნარებსა და შესაბამის საგანში.[7] გამოცდების პროცესი 2010 წელს დაიწყო და ნებაყოფლობითია 2014 წლამდე, თუმცა საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ასევე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გამოცდის ჩაბარების საშუალება მხოლოდ 2011 წელს ჰქონდათ. 2012 წლისთვის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს საშუალება ექნებათ საგნის ექსპერიმენტულ ნაწილშიც ჩააბარონ

[6] წინა წლებისგან განსხვავებით, როცა მასწავლებელთა გადამზადება დეცენტრალიზებული იყო და მასწავლებლებს საშუალება ჰქონდათ, ტრენინგები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ვაუჩერების საფუძველზე გაევლოთ ნებისმიერ აკრედიტებულ პროვაიდერთან, 2011 წლიდან პროგრამების მიწოდება ცენტრალიზებული გახდა და ყოველ მასწავლებელს, ასევე მასწავლებლობის მაძიებელს მას (ერთჯერადად) უფასოდ სთავაზობს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

[7] სერტიფიცირების პროცესი 2010 წელს დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენებისა და მათემატიკის მასწავლებლებისათვის, გარდა საგნობრივი გამოცდებისა, შესაძლებელი იყო პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარებაც. დღეისთვის მასწავლებელთა დაახლოებით ერთმა მესამედმა ჩააბარა გამოცდები ერთ ან ორ საგანში და შესაბამისად მიიღო ხელფასზე დანამატი. ხელფასზე დამატებითი დანამატი არის გათვალისწინებული იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარების გამოცდებსაც ჩააბარებენ. ამჟამად სერტიფიცირების პროცესი ნებაყოფლობითია, თუმცა 2014 წლისთვის ყველა მასწავლებლისთვის სავალდებულო იქნება.

გამოცდა. 2012 წლის იანვრის მდგომარეობით საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ჩაბარებული აღნიშნული გამოცდები და, შესაბამისად, არის სერტიფიცირებული (იხ. ცხრილი 1)

**ცხრილი 1: მასწავლებელთა სერტიფიცირების სტატისტიკა**

| საგამოცდო საგანი | მასწავლებლები სულ: | დარეგისტრირდა | შეფასებული ნაშრომი | მინიმალური ბარიერი გადალახა | სერტიფიცირებული N | სერტიფიცირებული % |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამოქალაქო განათლება | 2704 | 199 | 157 | 67 | 46 | 1.7% |
| ფიზიკა | 2784 | 518 | 413 | 36 | 28 | 1% |
| ქიმია | 2352 | 627 | 521 | 226 | 146 | 6% |
| ბიოლოგია | 3511 | 793 | 647 | 347 | 228 | 6.5% |
| დაწყებითი (I-IV) | 9148[8] | 3654 | 3014 | 855 | 606 | 6.6% |
| პროფესიული უნარები | 69165 | 20738 | 18263 | 5655 | 3229 | 4.7% |

წყარო: გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2012

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (და მისი სააგენტოების) შემდეგ მასწავლებლების ბიომრავალფეროვნების საკითხებზე და განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით უმნიშვნელოვანესი წვლილი გარემოს დაცვის სამინისტროსა (და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებს - დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ბიომრავალფეროვნების სამსახურს) მიუძღვის. მათ სამიზნე ჯგუფს ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები წარმოადგენდნენ სხვადასხვა კამპანიის ფარგლებში. თუმცა ამჟამად აღნიშნული კამპანიების მასშტაბები არ არის დიდი (დაახლ. 120-500 მასწავლებელი), ამ კუთხით მუშაობას გარემოს დაცვის სამინისტრო მომავალ წლებშიც აპირებს. პროექტების მიზანს საქართველოს დაცულ ტეროტორიებზე, საქართველოს ბიომრავალფეროვნების და გადაშენების საფრთხის ქვეშ

[8] დაწყებით საფეხურზე საქართველოს მასშტაბით 23147 პედაგოგი ასწავლის სხვადასხვა საგანს, ხოლო ცხრილში მოცემული ციფრი წარმოადგენს დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა რაოდენობას

მყოფი სახეობების შესახებ სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით გამხორციელებული მთელი რიგი ინსტიტუციური მიღწევების მიუხედავად, ექსპერტები გარკვეულ სისტემურ პრობლემებზეც საუბრობენ. კვალიფიციური კადრის სიმცირე, დაბალი ხელფასები და კვალიფიკაციის ამაღლების ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელი საჭიროებები (განსაკუთრებით იმ მასწავლებელთა შორის, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია) და მასწავლებლებისთვის გადამზადების პროგრამების მიერ დაკისრებული დამატებითი ხარჯები, რომელსაც სახელმწიფო არ ფარავს ჯერ კიდევ რჩება პრობლემად (თუმცაღა თავად ტრენინგები უფასოა, მაგრამ მასწავლებლებს საკმაოდ ძვირი უჯდება „მასწავლებლის სახლამდე“ მოგზაურობა და ის დრო, რომლის ინვესტერებასაც მასწავლებლები ტრენინგებში ახდენენ). გარდა ამისა, სერტიფიცირების პროცესის დასრულებამდე სკოლის მმართველ გუნდს არ აქვთ საშუალება მიიღონ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები არაკვალიფიციური კადრის ჩანაცვლების შესახებ ახალკურსდამთავრებულებით, რომლებმაც წარმატებით გაიარეს მაძიებლობის ფაზა და სასერტიფიკაციო გამოცდები. და ბოლოს, მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, ანუ მასწავლებლის წოდების მიღების ხარჯები ძალიან მაღალია პროფესიის პერსპექტიულ ხელფასებთან შედარებით იმ დროს, როცა მაძიებლობა საქართველოში არ არის ანაზღაურებადი (მანანა რატიანი, 2012).

სწავლებასთან, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებასთან, დაკავშირებული პრობლემები დაკავშირებულია ასევე საკლასო ოთახებში თანამედროვე სასწავლო მასალებისა და ტექნოლოგიების არსებობასთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამჟამად მიმდინარეობს ინვესტიციები სკოლის ელექტრონული ინფრასტრუქტურის (სკოლების აღჭურვა ლაბორატორიებით, კომპიუტერის კაბინეტებით, ელექტრონული დაფებით და სხვ.) გაუმჯობესების მიზნით. პროექტი აინშტაინი, აღნიშნული მოწყობილობების შეძენის გარდა გულისხმობს სკოლის პერსონალის გადამზადებას ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების და მომსახურების კუთხით. თუმცა მასშტაბები ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მცირეა საჭიროებებთან შედარებით.

3.2.1.3. სხვადასხვა დონის (პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) პროფესიულ და უმაღლეს განათლებას ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის მომიჯნავე სპეციალობებში საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 11 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. 2005 წელთან შედარებით

სასწავლებელთა რიცხვმა მკვეთრად დაიწია, რაც მოსალოდნელი იყო ქვეყანაში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმის ფონზე, რომლის შედეგად მკვეთრად შემცირდა არაკონკურენტული სასწავლებლების რიცხვი.[9]

ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მთლიანად თავად სასწავლებლების პრეროგატივაა აკადემიური თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე. თუმცა ეს პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს იმ მინიმუმ მოთხოვნებთან, რომელიც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი[10] არის დადგენილი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში XXX მოცემულია ქართულ უნივერსიტეტებში ბიომრავალფეროვნების სწავლების სურათი განათლების მესამე საფეხურზე 2011-2012 სასწავლო წლისთვის. თუმცა პროგრამების სპექტრი და რაოდენობა ყოველწლიურად იცვლება. ცხრილში მოცემულია პროგრამები, რომელთაც ბიომრავალფეროვნების საკითხებზე ერთი მოდული მაინც აქვთ პროგრამის სავალდებულო ნაწილში. გამომდინარე ფაქტიდან, რომ უმაღლესი საგანმანთლებლო პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტს აირჩიოს ნებისმიერი საგანი თავისუფალი კრედიტის სახით, სტუდენტებს აქვთ თავისუფლება არჩევანი შეაჩერონ ბიომრავალფეროვნების მოდულებზე.

[9] უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში შემოღებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები - ლიცენზირება (2010 წლიდან ლიცენზირება ჩანაცვლდა ავტორიზაციით), აკრედიტაცია, რამაც ის უნივერსიტეტები, რომლებიც არ იყვნენ საკმარისად კონკურენტუნარიანი და არ ჰქონდათ ადეკვატური სასწავლო და კვლევითი რესურსები სასწავლო ინფრასტრუქტურისა და აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით აიძულა შეეწყვიტა ფუნქციონირება ან გაერთიანებულიყო სხვა უფრო ძლიერი უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლების რიცხვი გასული საუკუნის 90 წლებში არსებული 240 სასწავლებლიდან შემცირდა 47 სასწავლებლამდე 2012 წლისთვის.

[10] აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ეს ის მინიმუმი მოთხოვნებია, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამები. უშუალოდ პროგრამების სტრუქტურა და სავალდებულო და ასარჩევი საგნების პროპორცია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ არის განსაზღვრული. პროგრამათა უმეტესობა შედგება მოდულებისგან და არის ძირითადი/მეორადი პროგრამის (მაჯორ/მინორ) სახით მოცემული. ეს სტრუქტურა არ ეხება რეგულირებად პროფესიებს.

ცხრილი 2: მესამე საფეხურის გარემოსდაცვითი განათლება საქართველოში:

| უმაღლესი საგანმანათლებ ლო დაწესებულება / პროგრამის საფეხური | უმაღლესი პროფესიული | საბაკალავრო | სამაგისტრო | სადოქტორო |
|---|---|---|---|---|
| ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | | • ბიოლოგია<br>• გამოყენებითი ბიომეცნიერებე ბი და ბიოტექნოლოგა<br>• ეკოლოგია<br>• გეოგრაფია<br>• საბუნებისმეტყ ველო მეცნიერებები | • ბიოლოგია<br>• გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ქართული და ინგლისური)<br>• ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება | • ბიოლოგია<br>• გამოყენებითი ეკოლოგია<br>• გეოგრაფია |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | | • ბიოლოგია<br>• ეკოლოგია | • საბუნებისმეტყველ ო საგნების მასწავლებელი<br>• ეკოლოგია<br>• ბიოლოგიური რესურსების მენეჯმენტი და დაცვა<br>• ენტემოლოგია | • ეკოლოგია<br>• ცხოველთა სამყაროს სტრუქტურა და დიაგნოსტიკა<br>• ენტემოლოგია |
| აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | • მებაღე (დეკორატიულ ი მცენარეების)<br>• მეხილე<br>• მევენახე | • ბიოლოგია, გეოგრაფია, ეკოლოგია<br>• გამოყენებითი ბიომეცნიერებე ბი (ბიოტექნოლოგ ია)<br>• ბიზნესის მენეჯმენტი (აგრობიზნესი)<br>• აგროტურიზმი, ეკოტურიზმი<br>• აგროტექნოლო გია, საბაღო-საპარკო მეურნეობა... | | |
| შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | • მცენარეთა დაცვის ტექნოკოსი | • აგროეკოლოგია გროინჟინერია, აგრონომია<br>• სატყეო საქმე | | • აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა<br>• მეტყევეობა, ტყეთმოწყობა |
| საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი | • მეხილე-მევენახე | • სატყეო საქმე<br>• აგრონომია<br>• ზოოტექნიკოსი | • სატყეო საქმე<br>• აგრონომია<br>• გამოყენებითი | • სატყეო საქმე<br>• აგრონომია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | • გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) | ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) | |
| **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** | • გარემოს დაცვის ტექნიკოსი | • | • | • |
| **იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი** | • მეტყევე (ტყის მჭრელი, ტაქსატორი) | • ბიოლოგია, ეკოლოგია, გეოგრაფია<br>• აგრონომია | • გარემოსმცოდნეობა<br>• მიკრობიოლოგია<br>• ეკოლოგია<br>• ბიომრავალფეროვნება | • ცოცხალი ბუნების დაცვა<br>• ბიომრავალფეროვნება<br>• ეკოლოგია |
| **საქართველოს უნივერსიტეტი** | | • აგრონომია | | |
| **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი** | | • ბიოლოგია<br>• ეკოლოგია<br>• გეოგრაფია | • გამოყენებითი ბიოლოგია<br>• კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფია და ბუნების დაცვა | • ეკოლოგია<br>• მიკრობიოლოგია |
| **ახალციხის უნივერსიტეტი** | • გარემოს დაცვის ტექნიკოსი | • ეკოლოგია<br>• ზოოტექნიკა | | |
| **გორის უნივერსიტეტი** | | • ბიოლოგია | | |
| **სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტი** | | • აგრარული მეცნიერებები (სატყეო საქმე, აგროეკოლოგია | აგრობიზნეს მენეჯმენტი | |
| **საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი** | • დეკორატიული მებაღეობა<br>• ფლორისტი | | | |
| **პროფესიული კოლეჯი "ჰორიზონტი"** | • მეტყევე | | | |
| **აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯი** | • მებაღე (დეკორატიული მცენარეების)<br>• მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო არომატული)<br>• მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი<br>• სოფლის მეურნეობის ბიზნესის | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მწარმოებელი<br>• გარემოს დაცვის ტექნიკოსი | | | |
| **პროფესიული კოლეჯი "სპექტრი"** | • გარემოს დაცვის ტექნიკოსი<br>• მებაღე (დეკორაციული მცენარეების) | | | |
| **სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"** | • მევენახე | | | |

წყარო: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და შესაბამისი დაწესებულებების ვებგვერდები

სახელმწიფოს მიერ საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების პრიორიტეტულ მიმართულებებად გამოცხადებამ ექსპერტთა მოსაზრებით გაზარდა სტუდენტთა ინტერესი ამ საგნებისადმი. ქვემოთ მოცემული ცხრილი 2 გვიჩვენებს 2005-2011 წლების სტუდენტთა სტატისტიკას განათლების მესამე საფეხურზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, საბუნებისმეტყველო და მომიჯნავე სპეციალობებზე სტუდენტთა რიცხვი მეტ-ნაკლებად სტაბილურია წლების განმავლობაში (თუ არ ჩავთვლით 2005 წელს, როცა სტუდენტების რაოდენობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებაზე შედარებით დაბალი იყო). თუმცა, როგორც ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრმა (ეგშც) განგვიმარტა, 2011 წლის მონაცემი არ არის შედარებადი წინა წლების მონაცემებთან, გამომდინარე ფაქტიდან, რომ 2011 წლებიდან დაწყებული ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამების და არა ფაკულტეტების მიხედვით, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა. შესაბამისად, თუმცა ეგშმ-ის მიერ მოწვდილი სტატისტიკით ამის დამტკიცება შეუძლებელია, სტუდენტთა რიცხვი საბუნებისმეტყველო და მომიჯნავე სპეციალობებზე უნდა იზრდებოდეს, როგორც ამას დარგის სპეციალისტები (თსუ, ილიაუნი) უშუალო დაკვირვების საფუძველზე აცხადებენ, რაც 2011-2012 წლებისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების ახალი ფორმულის შემოღებას[11] უნდა უკავშირდებოდეს.

[11] ზოგადად უმაღლესი განათლების დაფინანსების წესმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ბოლო 5 წლის განმავლობაში რესურსებზე ორიენტირებული საბაზო დაფინანსების მოდელიდან, რომელიც საბჭოთა სისტემიდან იყო მემკვიდრეობით მიღებული ერთ სტუდენტზე გათვლილ დაფინანსებამდე (სასწავლო გრანტებსა და ვაუჩერებამდე). ეს ცვლილება ემსახურებოდა დაფინანსების ეფექტურობისა და გამჭვირვალეობის გაზრდას. უმაღლესი სასწავლო გრანტების ოდენობები განსხვავდება აბიტურიენტის მიერ მისაღებ გამოცდებზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით და შესაძლებელია იყოს სრული ან ნაწილობრივი (70%, 50%, 30%). გასათავლისწინებელია ისიც, რომ სრული დაფინანსებაც გულისხმობს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასურის სრულ დაფინანსებას, სადაც სწავლის გადასახადი ვერ ასცდება სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ზედა ზღვარს, მაშინ როცა კერძო უნივერსიტეტებს აქვთ თავისუფლება თავად განსაზღვრონ სწავლის ღირებულება და ამ შემთხვევაში სტუდენტი იძულებულია თავად დაფაროს სხვაობა გრანტის ოდენობასა და სწავლის გადასახადს შორის. ერთ პირზე გათვლილი ფინანსური

**ცხრილი 3. საბუნებისმეტყველო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელი:**

| წელი | სულ ჩარიცხულია | მათ შორის საბუნებისმეტყველო სპეციალობებზე | საერთო რაოდენობის % |
|---|---|---|---|
| 2005 | 16507 | 490 | 2.97% |
| 2006 | 19479 | 1026 | 5.27% |
| 2007 | 15445 | 771 | 4.99% |
| 2008 | 15559 | 796 | 5.12% |
| 2009 | 21182 | 1173 | 5.54% |
| 2010 | 22576 | 865 | 3.83% |
| 2011 | 23209 | 1010 | 4.35% |

წყარო: ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრი, 2012

უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში მიღწეულ შედეგად ასევე შეიძლება ჩაითვალოს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია (EACEA, 2010). რეფორმის ფარგლებში კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში ან დამოუკიდებლად არსებობდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ გაერთიანდნენ, რაც მიმდინარე კვლევებში სტუდენტების უშუალოდ ჩართვის და საგანმანათლებლო პროცესის პრაქტიკული კომპონენტით გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. მაგალითისთვის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის, ზოოლოგიის ინსტიტუტებისა და ენტომოლოგიის და ბიოკონტროლის კვლევითი ცენტრის მიმდინარე კვლევებში.[12]

---

ნორმატივმა გარკვეული პრიორიტეტული მიმართულებების დადგენის შესაძლებლობა მისცა სახელმწიფოს ქვეყნის შიდა ბაზარზე მოთხოვნების შესაბამისად და სტუდენტების ნაკადი მიმართა იმ სპეციალობებისაკენ, რომელთაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძიათ ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარებაში. ახალი დაფინანსების ფორმულის თანახმად, რომელიც 2010-2011 აკადემიური წლისთვის შევიდა ძალაში უპირატესობას ანიჭებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ადგილობრივ ბაზარზე ისეთ პოპულარულ მიმართულებებთან შედარებით, როგორიცაა სამართალი, მედიცინა, ბიზნესის მართვა და სხვ. აღნიშნულ პრიორიტეტულ სპეციალობებზე დაფინანსება შესაძლებელია იყოს სრული ან ნაწილობრივი, დანარჩენ სპეციალობებთან შედრებით, სადაც აბიტურიენტებს შეუძლიათ მხოლოდ სრული დაფინანსების მიღება (შესაბამისად ამ სპეციალობებისთვის დაფინანსება ნაკლებია) (მინისტრის ბრძანება №№№). ახალ დაფინანსების ფორმულის შედეგად უფრო მეტი და აკადემიურად უკეთ მომზადებული სტუდენტები უნდა მოეზიდა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გასულ წელს. თუმცაღა სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებლების განსხვავებული დაჯგუფების გამო შეუძლებელია ამ ფაქტის ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემების საშუალებით, ჩვენება.

[12] აღნიშნული ინსტიტუტებისა და ცენტრის კვლევები მოიცავს ბიომრავალფეროვნების არაერთ საკითხს, კერძოდ:

1) აჭარის ფაუნის რეესტრი და ნუსხა - 2009 2011. სამეცნიერო ხელმძღვანელი ალექსანდრე ბუხნიკაშვილი
2) მაღალმთიანი საძოვრების რეაბილიტაციისათვის: ნიადაგის მეზოფაუნა და ბიომრავალფეროვნება- 2009-2010, სამეცნიერო ხელმძღვანელი მზია კოხია

უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა არცთუ ისე მჭიდროა, რაც ნიშნავს, რომ ახალ კურსდამთავრებულთათვის პროფესიაში შედწევა ძალიან რთულია და ასევე იმ ცოდნასა და უნარებს შორის კავშირი, რაზეც მოთხოვნაა შრომის ბაზარზე და რასაც საგანმანათლებლო პროგრამები გვთავაზობენ, არც თუ ისე კარგია. „კერძო სექტორსა და აკადემიას შორის დიალოგი არც თუ ისე ღიაა, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 80% მიუთითებს, რომ მათ აქვთ შეთანხმება ბიზნეს სექტორთან, თანამშრომლობის სფერო ხშირად კურსდამთავრებულთა დასაქმება და სტაჟირება უფროა... უნივერსიტეტების მხოლოდ 10% თანამშრომლობს დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით და მხოლოდ 6 უნივერსიტეტი და ყველა კერძო თანამშრომლობს უნივერსიტეტის მართვის კუთხით, მათ მოწვეული ჰყავთ ბიზნესის წარმომადგენლები მმართველობით ორგანოებში (სამეურვეო საბჭოში, სამეთვალყურეო საბჭოში).“ (EACEA, 2010 ).

---

3) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (დიდი კავკასიონი) ხერხემლიან ცხოველთა ბიომრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა – 2010-2012. სამეცნიერო ხელმძღვანელი ალექსანდრე ბუხნიკაშვილი
4) კარტოფილის საშიში ნემატოდური დაავადებები სამცხე ჯავახეთის მაღალმთიან რაიონებში (ნემატოდური მოსახლეობის ბიომრავალფეროვნება, პათოგენური სახეობების გავრცელება- 2010-2011. სამეცნიერო ხელმძღვანელი ირაკლი ელიავა
5) ინსტიტუტის თემატიკა
6) მდინარე ხრამის და მტკვრის ზემო წელის (საქართველოს ფარგლებში) აუზის ხერხემლიან ცხოველთა ფაუნის თანამედროვე მდგომარეობა, მისი დეგრადაციის გზები და მათი დაცვის პრობლემები, 2008-2010 წწ. თემის ხელმძღვანელი ალექსანდრე ბუხნიკაშვილი
7) თბილისის წყალსაცავის და სანაპირო ზოლის ცხოველების პარაზიტოლოგიურ-ეკოლოგიური გამოკვლევა, 2008-2010 წწ. თემის ხელმძღვანელი ლალი მურვანიძე.
8) აღმოსავლეთ საქართველოს მეკარტოფილეობის რაიონში კარტოფილის ქსოვილებისა და ნიადაგის ნემატოდები, 2008-2010 წწ. თემის ხელმძღვანელი ირაკლი ელიავა.
9) ციტრუსების სპეციფიური ნემატოდის გავრცელების შესწავლა 2008-2010 წწ.
10) თემის ხელმძღვანელი ირაკლი ელიავა.
11) ენტომოპათოგენური ნემატოდები ბიოკონტროლისათვის, 2008-2010 წწ. თემის ხელმძღვანელი ირაკლი ელიავა.
12) თბილისის ზღვის კომპლექკური ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევა, 2008-2010 წწ.
13) თემის ხელმძღვანელი ბელა ჯაფოშვილი.
14) 11. საქართველოს ბუგრების (Hemiptera, Aphididae) კარიოლოგიური გამოკვლევა, 2010-2012 თემის ხელმძღვანელი ნანა ბახტაძე
15) ზოგიერთი უხერხემლო ცხოველების ბიოქიმიური ადაპტაცია გარემო პირობებთან, (2010-2011) თემის ხელმძღვანელი ნანა ბახტაძე
16) მსხვილი ძუძუმწოვრების ეკოლოგია და კონსერვაცია
17) რაოდენობრივი ეკოლოგიის პროგრამა
18) მაღალმთის ეკოსისტემების კვლევის პროგრამა
19) კოლხეთის ეროვნული პარკის (სახმელეთო ნაწილი) უხერხემლო ცხოველები, მათი ბიომრავალფეროვნება და ძირითადი ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების მოსახლეობა. სესფ–367 (მენეჯერი თეა არაბული) 2009–2011.
20) ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის ნემსიყლაპიების, სიფრიფანაფრთიანების და ხეშეშფრთიანების ბიომრავალფეროვნება. სესფ–236 (მენეჯერი შ. ბარჯაძე) 2008–2010.
21) გოლჩუკის ეროვნული პარკის მწერების ბიომრავალფეროვნების შეფასება და დაცვითი სტრატეგიების შემუშავება ისპარტაში. თუბითაქი. (მენეჯერი გ. ჯაფოშვილი) 2008
22) კახეთის რეგიონის ვაზის მავნებელი აბლაბუდიანი ტკიპები (Tetranychoidea). სესფ –565 (მენეჯერი თ. არაბული). 2010–2011
23) ბიოლოგიური კონტროლის აგენტების კვლევის ცენტრი. DPT პროექტი 2007 121320. (კოორდინატორი პროფ. ისმაილ კარაჯა. მკვლევარი–გ. ჯაფოშვილი) 2007–დღემდე
24) უხერხემლო ცხოველთა დასახლების მონიტორინგი მანგანუმის საბადოებსა და რეკულტივირებულ ტერიტორიებზე. უსტც –4875 (მენეჯერი მ. მურვანიძე) 2010–2013
25) ბორჯომის ხეობის დაცული ტერიტორიების ტყეების შეფასება მწერების ინდიკატორი სახეობების მეშვეობით და ადგილობრივი მოსახლეობის განათლება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებში. რუფორდი. RSG-7838-1 (მენეჯერი – მ. მურვანიძე). 2010–2011

ზემოთქმულისდა მიუხედავად, დაცული ტერიტორიების სააგენტომ განაცხადა, რომ მას ურთიერთგაგების მემორანდუმები აქვს გაფორმებული 7 უნივერსიტეტთან, რომლებიც ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიის კუთხით მუშაობენ. მემორანდუმები ითვალისწინებს ორმხრივ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტების სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვს საჯარო ლექციების ჩატარების, სამეცნიერო ბიბლიოთეკების გამოყენების, დაცული ტერიტორიების რეგიონულ ადმინისტრაციებში ეკობანაკების მოწყობისა და სამეცნიერო კვლევის განხორციელების საშუალება.

გარდა ამისა, გარემოს დაცვის სამინისტრომ ბიომრავალფეროვნების საკითხებზე მომუშავე უნივერსიტეტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო, მწვანე ალტერნატივა, ნაკრესი, WWF, IUCN, ელკანა, GCCW და სხვ.) 2011 წლის 27 მაისს გააფორმა მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს ბიომონიტორინგის სფეროში თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას, საერთო პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც აღნიშნა, რომლებიც უმეტესწილად თავად სასწავლებლების ინიციატივის შედეგი უფროა, მაგრამ მაინც წარმოადგენს სფეროს მენეჯმენტის, კვლევისა და განათლებას შორის გამოცდილებისა და ექსპერტული ცოდნის გაზიარების მაგალითს.

და ბოლოს, კიდევ ერთი კარგი ტენდენცია უმაღლეს განათლებაში არის მისი მზაობა საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობისადმი. "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთობლივი პროგრამებს უყურებენ, როგორც ხარისხის ამაღლების ეფექტურ საშუალებას... არ არსებობს საქართველოს შემომსვლელ და გამსვლელ სტუდენტთა მობილობის წახალისების გამოკვეთილი პოლიტიკა, თუმცა ორივე ტიპის მობილობის მასშტაბები სტაბილურად იზრდება. ქართველ სტუდენტთა დიდი რაოდენობა სწავლობს აშშ-ში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში, ასევე სხვა ევროპულ ქვეყანაში (EACEA, 2010).

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განსაკუთრებით იმატა საქართველოს და საერთაშორისო რამდენიმე უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული ერთობლივი პროგრამების რაოდენობამ. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია წვლილი ტემპუსის ფარგლებში შემუშავებული პროგრამებისა. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების პროექტები: შ იშ- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აქტიურ სწავლება, CIBELES- გარემოს შემსწავლელ მეცნიერებათა სწავლება ბოლონიის პრინციპების შესაბამისად -

პარტნიორი უნივერსიტეტები საქართველოდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი სამართლის სამაგისტრო პროგრამა: პარტნორები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამოყენებითი ბიომეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა - პარტნიორი უნივერსიტეტები საქართველოდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.)

უმაღლეს განათლებაში არსებობს მთელი რიგი პრობლემებიც. როგორც ტემპუსის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პოლიტიკური ნარკვევი „საქართველოს უმაღლესი განათლება“ ამბობს: “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი ნაწილი ჯერ კიდევ საჭიროებს განვითარებას, რაც საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობის შედეგი შეიძლება იყოს, სადაც უნივერსიტეტებში საერთოდ არ ტარდებოდა კვლევები და ისინი კონცენტრირებული იყვნენ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში. უნივერსიტეტთა მხოლოდ 8.8% მონაწილეობს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (ამჟამად, რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის - თ.ს.) სამეცნიერო გრანტების კონკურსში” (EACEA, 2010).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია გრანტები მიმართულებების მიხედვით (ის მიმართულებები, რომელთაც აქვთ შეხება ბიომრავალფეროვნებასთან ხაზგასმულია). წელს ფონდის მიერ დაფინანსდა სულ 35 გრანტი, მათ შორის 3 ბიომრავალფეროვნების კუთხით. თუმცა უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს შეუძიათ გრანტები და დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის გარედანაც მიიღონ.

**ცხრილი 4. სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული პროექტები მიმართულებების მიხედვით**

| | | 2009 | | 2008 | | 2007 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | სამეცნიერო მიმართულება | პროექტ. რაოდენობა | ბიუჯეტი | პროექტ. რაოდენობა | ბიუჯეტი | პროექტ. რაოდენობა | ბიუჯეტი |
| 1 | საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები | 3 | 29330 | 8 | 808539 | 10 | 1 069 147.36 |
| 2 | სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები | 11 | 136342 | 17 | 2 034298 | | |
| 3 | მათემატიკა, მექანიკა | 6 | 72963 | 14 | 1 537879 | 26 | 2 932 384.52 |
| 4 | საბუნებისმეტყველო | 10 | 112381 | 18 | 1 902608 | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მეცნიერებები | | | | | | |
| 5 | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | 14 | 167169 | 27 | 2 999230 | 20 | 2 434 878 |
| 6 | სამედიცინო მეცნიერებები | 18 | 227487 | 27 | 3 371 647 | 17 | 1 987 771 |
| 7 | საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები | 22 | 2459855, | 24 | 2 379578 | 21 | 2 125 623.44 |
| 8 | აგრარული მეცნიერებები | 19 | 224798 | 26 | 3 007034 | 14 | 1 240 428 |
| | მათ შორის ბიომრავალფეროვნების საკითხები | 7 | | 11 | | 9 | |
| | სულ: | **103** | **12164584,4** | **161** | **18 041 613** | **108** | **11 790 232** |

წყარო: ეროვნული სამეცნიერო ფონდი: http://gnsf.ge

სამწუხაროდ, ჟურნალისტიკის არცერთი პროგრამა არ მოიცავს კურს გარემოსდაცვითი კუთხით, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამების მოდულური ფორმატი ყოველთვის იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა მისთვის სასურველი საგანი აირჩიოს, როგორც არჩევითი მოდული.

2005 წლისგან განსხვავებით (ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აღნიშნული იყო, რომ სამართლის ფაკულტეტებზე არ ისწავლებოდა გარემოსდაცვითი განათლების კურსები) ამჟამად საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი ისწავლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დაგეგმილია სულ მცირე კიდევ სამ უნივერსიტეტში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი, 2012; მაია ბითაძე, 2012).

### 3.2.2. არაფორმალური (non-formal) გარემოსდაცვითი განათლება:

გარემოსდაცვითი ცნობიერება და ცოდნა ფორმალური გარემოს გარდა იქმნება არაფორმალური საგანმანათლებლო შესაძლებლობების მეშვეობითაც. ეს შესაძლებლობები განკუთვნილია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის და მათი მიმწოდებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტები, არასამთავრობო და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე სამთავრობო სტრუქტურები არიან. ზემოხსენებული მასწავლებლების გარდა, არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა ინსტრუმენტის/ინტერვენციის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები არიან 12-18 წლის ასაკის

ბავშვები, გარემოსდაცვით საკითხებზე პასუხისმგებელი პირები/უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ა.შ.

აუცილებელი არ არის იყო სკოლის მასწავლებელი, იმისათვის რომ ხელი შეუწყო ბავშვებში ბიომრავალფეროვნების სიყვარულსა და ცნობიერებას, რაც შემდგომში მათში გარემოდაცვითი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების საფუძველი უნდა გახდეს და გარდაქმნას ისინი პასუხისმგებელ მოზარდებად. ბავშვებმა ადრეული ასაკიდან უნდა ისწავლონ, რომ გარემო ზემოქმედებს მათი ცხოვრების სტილსა და ხარისხზე და პირიქით. ადრეული გარემოსდაცვითი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დღევანდელი ბავშვები იქნებიან ხვალ პასუხისმგებელნი ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომელთაც მომავალში უნდა შექმნას სუფთა გარემო.

სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობისა და კონსერვაციის შესახებ ბავშვების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო, თუ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ექსტრა-კურიკულარული პროექტების რიცხოვნების მიუხედავად მასშტაბები ჯერ კიდევ საკმაოდ მცირეა და შესაბამისად შედეგიც. ამგვარად, სამომავლო ინიციატივების საჭიროება ჯერ კიდევ არსებობს.

3.2.2.1. 2007 წლიდან საქართველოს განათლების სამინისტროს ინიციატივით და პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით საქართველოს მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ლექციების კურსი იკითხება პოპულარულ სამეცნიერო თემებზე, მათ შორის ბიოლოგიასა და გეოგრაფიაზე. პროექტის მიზანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში თანამედროვე მიღწევებისა და ექსპერტული ცოდნის გადაცემა სტუდენტებში მათი პოპულარიზაციის მიზნით. პროექტის ფარგლებში ლექციები და პრაქტიკული მეცადინოებები ჩატარდა თბილისში, თელავში, მცხეთაში, გორში, ქუთაისში, სენაკში, რუსთავში, ახალქალაქში, ოზურგეთში, ფოთში, ხელვაჩაურში, ბორჯომში, ონსა და მესტიაში. ლექციების სერია ძირითადად გამიზნულია უფროსკლასელთათვის, თუმცა ღიაა სხვა ასაკის დაინტერესებული მოსწავლეებისთვისაც. 3 წლის განმავლობაში ათასობით მოსწავლე დაესწრო აღნიშნულ ლექციებს.

3.2.2.2. სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კონკურსი - „ოლიმპიადები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კიდევ ერთი ინიციატივაა, რომელიც მოიცავს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფებს და მასში მონაწილეობის უფლება ქვეყნის მასშტაბით ყველა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეს აქვს. განათლება მდგარი განვითარებისთვის პროცესის ფარგლებში „ოლიმპიადები“ მოიცავდა შემდეგ საკითხებს: შავი ზღვისპირა ზონის კონსერვაცია (სარფი-ბათუმი ან სუფსა-ნატანები); ტყეების რაციონალური გამოყენება და კონსერვაცია; ადგილობრივი ბუნებრივი და ისტორიული რელიქვიების ჩართვა ტურიზმის განვითარებაში; გარემოს მდგომარეობა და ჯანმრთელობა და ა.შ.

3.2.2.3. ეკო ტურებმა და ეკო ბანაკებმა საქართველოში მზარდი პოპულარობა გასულ წლებში მოიპოვა. ბანაკებისა და ტურების მიზანია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ცნობიერების, აგრეთვე ცხოვრების ჯანსაღი სტილის პოპულარიზაციისა და ბიომრავალფეროვნების ცოდნის ხელშეწყობა. სხვადასხვა ეკო ბანაკის მიზნობრივი ჯგუფებს წარმოადგენდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები (მაგალითად, ჩეხეთის საელჩო აფინანსებს ჩეხი სტუდენტების ვიზიტსა და მონაწილეობას საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ეკო ბანაკებში). ბანაკები სხვადასხვა წყაროდან ფინანსდება ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და მისი ორგანიზატორები არიან სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო ან რომელიმე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია (CENN, CARE, Scouts of Georgia და ა.შ).

ზოგადად, გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში, რაც სტუდენტთა შორის ინტერესის გაზრდის, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ამ სფეროში მოქმედი სხვა ინსტიტუტების ძალისხმევისა და წარმატებული მუშაობის შედეგია. თუმცა ზოგადი სტატისტიკა ამ მხრივ ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია, მხოლოდ დაახლოებით საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა 10% და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ბანაკებისა და ტურების რაოდენობისა და განსაკუთრებით ხარისხის მხრივ, რათა ისინი გახდეს უფრო საგანმანათლებლო, ინფორმაციული და მრავალფეროვანი და პროექტის გასართობი მხარე იქცეს ფუნქციური ცოდნისა და სათანადო ქცევების შემეცნების, ასევ გარემოსადმი სწორი ღირებულებებისა და დამოკიდებულებების შეძენის საშუალება.

3.2.2.4. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდული „მწვანე კლუბი,“ რომელშიც სხვადასხვა უნივერსიტეტის ასობით ახალგაზრდა არის გაწევრიანებული და აწყობს გარემოს დაცვით აქტივობებს. თუმცა, „მწვანე კლუბი“ ერთადერთი არ არის საქართველოში. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის (მაგ. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, ეკოხედვა/ECOVISION, CENN-ი და სხვ.) ინიციატივით ეკო კლუბები ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო ინსტიტუტში

შეიქმნა ბავშვთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა გარემოს დაცვით საკითხის - მათ შორის ბიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილების, ნარჩენების მართვის, წყალშემკრები აუზების მართვის და ა. შ. - შესახებ. უფრო მეტიც, კლუბები ეხმარება ბავშვებს აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს თავისი მანდატის ფარგლებში აგრეთვე შეუძლია გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში ახალგაზრდობის ინფორმირებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა. გარემოსდაცვითი საკითხები სამინისტროს „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო 2011 წლისთვის და 3 მცირე გრანტი იქნა გაცემული ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფებისთვის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებზე სათემო პროექტების განსახორციელებლად.

3.2.2.5. გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების საკითხებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მუზეუმებსა და ეროვნულ პარკებს ენიჭება, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ შემეცნებითი პროგრამები შეთავაზებაა. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტრუქტურაში შემავალი სხვადასხვა ტიპის დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული პარკების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ (სხვადასხვა შემეცნებითი კამპანია, საჯარო ლექცია, ეკოტური, ეკო ბანაკი და სხვ.)

თბილისის ზოოლოგიურ პარკში ფუნქციონირებს ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი „მეტაზოა,“ რომლის მიზანია მოზარდთა (ასაკობრივი ჯგუფი 5-16 წლამდე) გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბება და ეკოლოგიური განათლება, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ინფორმირება და ჩართვა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პროცესში და ადამიანსა და ცოცხალ ბუნებას შორის ჰარმონიული თანაარსებობის ხელშეწყობა („მეტაზოას“ საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტი)

2005 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტი. დეპარტამენტი ამუშავებს სამუზეუმო კოლექციების თემატიკის გარშემო შექმნილ პროგრამებს, რომელიც სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის არის გათვლილი. დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს მასწავლებლებთან და განათლების დარგში მოღვაწე ექსპერტებთან. მუზეუმის ინიციატივით ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმის ბაზაზე რეგულარულად ტარდება ინტერაქტიული საუბრები გარემოსდაცვით თემებზე. კურსი განკუთვნილია 10-15 წლის

მოზარდებისათვის. მუზეუმი დაინტერესებულია გარემოს დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით გარემოსდაცვითი განათლების კუთხით.

3.2.2.6. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტთან არსებული ახალგაზრდა ბიოლოგთა სკოლა (საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში) მიზნად ისახავს ბავშვებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვისა და მოსწავლეთათვის საჯარო ლექციებისა და პრაქტიკული ექსპერიმენტების ჩატარებით, მასწავლებელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და მოზარდთათვის კვლევითი უნარ-ჩვევების საფუძვლების მიცემას.

ზემოთ აღნიშნულის ფარგლებში საბავშვო უნივერსიტეტი აწყობს მოსწავლეთა შეჯიბრებებს, და კონფერენციებს, საჯარო ლექციებს და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტი ასევე აწყობს საზაფხულო სკოლებს საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ უახლესი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების შესახებ ინფორმაცია, შეხვდნენ ქართველ და უცხოელ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და ჩაერთონ რეალურ პროექტებსა და ექსპერიმენტებში. 2011 წლის „საზაფხულო სამეცნიერო აკადემიამ“ ოთხი სფერო მოიცვა: გარემო, ენერგეტიკა, მასალები და ჯანმრთელობა. ეს ასევე გულისხმობდა ცერნის (ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია) მეცნიერებთან შეხვედრას, პროექტის „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კარიერების აღდგენის გზით“, ჰაიდელბერგ ცემენტისა და გერმანიის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრას, ქიმიის საერთაშორისო წლის ფარგლებში დაგეგმილ გლობალურ წყლის ექსპერიმენტში მონაწილეობას და სხვა.

3.2.2.7. სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ტრენინგ-პროგრამების მიზნობრივი ჯგუფები მოიცავდა სახელისუფლებო და არასამათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, თემებს, ჟურნალისტებს და ა. შ.

ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი განათლების ცენტრის სამიზნე სფეროს. ცენტრი გეგმავს

სასერტიფიკაციო კურსების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით შემდეგი სამიზნე ჯგუფებისათვის: ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საჯარო მოხელეები და კერძო სექტორში დასაქმებული მენეჯერების/სპეციალისტები, ასევე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები.

### 3.2.3. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების სხვა საშუალებები (informal education)

საქართველოს მიერ 2005 წელს მიღებული „ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებული ზოგიერთი პრობლემა ეხებოდა არაფორმალური/არაოფიციალურ გარემოსდაცვით განათლებას და ეს უკანასკნელი შეფასებული იყო როგორც „არასისტემური და ფრაგმენტული“; პრობლემები ეხებოდა მასმედიას, რომელიც „არასაკმარის ინტერესს ამჟღავნებს გარემოსდაცვით საკითხებს მიმართ და აღნიშნული სფეროს ცოდნა არ არის საკმარისი“; სამწუხაროდ, იგივე დასკვნები გაკეთდა ბეჭდვითი და ინტერნეტ მედიის მონიტორინგისას IUCN-ს მიერ 2010 წელს, სადაც ნათქვამია რომ ამ მხრივ პრობლემები ჯერაც არ აღმოფხვრილა.

მეორეს მხრივ, როგორც არაერთი წყარო მიუთითებს (გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2011-2015 (NEAP), 2012, გარემოს მდგომარეობა (SoE) 2011, „ორჰუსის ალტერნატიული მოხსენება“ მწვანე ალტერნატივა 2011, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს საზოგადოებრივ ცნობიერებას გარემოსდაცვით საკითხებზე და არა ერთი სატელევიზიო და რადიო არხი რეგულარულად გადასცემს ახალ ინიციატივებზე გარემოს დაცვის სფეროში, მაღალი დონის შეხვედრებისა, სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციებისა და ბრიფინგების შესახებ.

სამინისტროსა და მისი სააგენტოების (განსაკუთრებით, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ბიომრავალფეროვნების სამსახურის) ოფიციალური ვებ-გვერდები ასევე მათი გვერდები სხვადასხვა სოციალურ ქსელზე( Facebook, Youtube, Myvideo და ა.შ.) სამინისტროს ქმედებების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა და სხვადასხვა ბიომრავალფეროვნების საკითხებსაც მოიცავს. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (ე.გ. NACRES და WWF, CENN, მწვანე ალტერნატივა, მწავნეთა მოძრაობა, RECC, ელკანა და სხვ..) ვებ-გვერდები ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის საქართველოს

ბიომრავალფეროვნებისა და მისი მდგომარეობისა და არსებული აქტუალური საკითხების შესახებ.

სამინისტროსა და მისი პარტნიორების მიერ ორგანიზებული ინფო ტურების სამიზნე ხშირად ჟურნალისტების არიან, რაც მიზნად ისახავს მასმედიის მიერ გარემოსდაცვითი (მათ შორის, ბიომრავალფეროვნების) საკითხების გაშუქების სიხშირისა და ხარისხის გაუმჯობესებას.

გარემოს დაცვის სამინისტროსა და მისი პარტნიორების, (ხშირ შემთხვევებში სხვა სამთავრობო სტრუქტურების) საზოგადოებასთან ურთიერთობების ღონისძიებები ხშირად წყაროა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, თუმცა ამავდროულად გამიზნულია საზოგადობა გახადოს გარემოს მიმართ უფრო მეგობრული, და მოიცავს სხვადასხვა კამპანიებს („ბაღის ფრინველთა საათი“, „წითელი ნუსხის სახეობები“, გამწვანების, დასუფთავების კამპანიები და სხვ..), სოციალური რეკლამას ტელევიზიასა და რადიოში, სათავგადასავლო ტურებს, ნახატების გამოფენებს, ბილბორდებს და ა.შ. და მიზნობრივი ჯგუფების ფართო წრეს: ბავშვებსა და მოზარდებს, პოლიტიკოსებს და არასამთავრობო სექტორს, ჟურნალისტებსა და საერთაშორისო საზოგადოებას. გარემოს დაცვის სამინისტრო და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ბროშურების გამოქვეყნებას.

სამწუხაროდ, ბიომრავალფეროვნების პროფილი ტელევიზიასა და რადიოში არ არის მაღალი, რაც მედიის ექსპერტების თქმით, საზოგადოების მხრიდან ამ საკითხების მიმართ დაბალი ინტერესის შედეგია. ამჟამად, ბიომრავალფეროვნებას ეხება მხოლოდ ერთი სატელევიზიო პროგრამა მეგზური, ყოველკვირეული სათავგადასავლო შოუ რუსთავი 2-ის ეთერში (რომლის ძირითადი მიზანი ეკო ტურისტების მოზიდვაა და ბიომრავალფეროვნების საკითხების ასახვა მეორეული პროდუქტია, გვერდითი ეფექტი).

მსგავსი ფორმატის იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი „მოგზაურის დღიურები“ (2009 წ.). გარდა ამისა, თავდაპირველად რადიო „იმედის,“ ხოლო შემდეგ ტელეკომპანია „მზის“ ეთერში (2010 წ.) გადიოდა ყოველკვირეული პროგრამა „მწვანე ეთერი,“ რომელსაც გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე უძღვებოდა, რაც შესაძლოა ასევე ყოფილიყო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის შესაბამისი პლატფორმა. გარემოსდაცვით თემებს ეხება საზოგადოებრივი რადიოს ყოველკვირეული ერთსაათიანი პროგრამა „ეკომეტრი.“ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის, განსაკუთრებით კი რეგიონის მოსახლეობისთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზიაა, ამ მხრივ რესურსები უკეთესად უნდა

იქნას გამოყენებული. ინტერნეტმედია, რომელიც პოპულარობის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა და არის სწრაფად მზარდი მედია კომუნიკაციის არხი, ბიომრავალფეროვნების საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების ასევე მნიშვნელოვანი საშუალება შეიძლება იყოს.

### 3.3. გამოვლენილი პრობლემები:

- თუმცა რაოდენობრივი ფორმალური შეფასება არ გაკეთებულა ბიომრავალფეროვნების საკითხებში, ამ მხრივ ექსპერტები საზოგადოებრივ ცნობიერებას ჯერ კიდევ დაბალ შეფასებას აძლევენ;

- ბიომრავალფეროვნების საკითხებში ფორმალურ განათლებას მყარი სტრუქტურული ჩარჩო აქვს; თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, იმისთვის რომ ამ ყოველივეს რეალიზება მოხდეს საკლასო ოთახში. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სასწავლო და საინფორმაციო მასალების მომზადებას;

- ინტერნეტი დღესდღეობით ყველაზე იაფი და ყოვლისმომცველი საინფორმაციო რესურსია, ასე რომ ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მასწავლებლებისა და სტუდენტების სათანადო კომპიუტერული უნარების შეთვისებაში ხელის შეწყობა უმნიშვნელოვანესია;

- მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლებას უმაღლესი და პროფესიული განათლების იმ პროგრამებზე, რომელსაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი აქვს ბუნებრივ რესურსებთან (განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, წარმოების სფეროებში);

- ბიომრავალფეროვნების სწავლებისა და ცნობიერების ამაღლების არაფორმალური პლატფორმები უკეთესად უნდა იქნას გამოყენებული. მასშტაბები, ასევე ხარისხი (რამდენადაც ამომწურავად ხდება ბიომრავალფეროვნების საკითხების დაფარვა, როგორ უნდა მოვახდინოთ ცოდნის ჩვევად გადაქცევა) ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას;

- გასათვალისწინებელია არაფორმალური განათლების პლატფორმების მდგრადობის საკითხიც. ამჟამად ძალიან ხშირად პროვაიდერები არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, რომლებიც ამ კონკრეტული პროგრამის დაფინანსებაში წყვეტასთან ერთად, თავს ანებებენ აღნიშნული კუთხით მუშაობას. მნიშვნელოვანია,

რომ რესურსები წარმართული იყოს ისეთი მდგრადი პლატფორმების ინსტიტუციური განვითარების კუთხით, როგორიცაა მუზეუმები, ეროვნული პარკები, სკოლები და სხვ ინსტიტუტები, რომელთან საგანმანათლებლო ფუნქცია აქვთ;

- არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლება ჯერ კიდევ არასისტემური და ფრაგმენტულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და გარემოს დაცვის სამინისტროები მუშაობენ გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგიაზე, რომელიც გარემოსდაცვით განათლებას უფრო სისტემატიზებულს და კონკრეტულ ამოცანებზე ფოკუსირებულს გახდის;
- მედია ნაკლებ ინტერესს იჩენს ბიომრავალფეროვნების საკითხებთან მიმართებაში და ჯერ კიდევ ამ სფეროს წარმატებულად გაშუქების გამოცდილების ნაკლებობას განიცდის. ტელე-რადიომაუწყებლობის და ინტერნეტ-რესურსების გამოყენების მხრივ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს.

## დანართები

### დანართი 1.

**NBSAP, მოქმედებათა გეგმა (2005-2010): გარემოსდაცვითიგანათლება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მონაწილეობა**

შესრულების მდგომარება

| | ქმედება | ინდიკატორი/მოსალოდნელი შედეგი | შესრულების მდგომარეობა |
|---|---|---|---|
| 1 | სოციოლოგიური კვლევის მოწყობა (მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით) ბიომრავალფეროვნების კუთხით საზოგადოების ცნობიერების დონის შეფასების მიზნით | რეგიონების მიხედვით შესწავლილი და გაანალიზებულია, თუ რა მოცულოების სამუშაოა შესასრულებელი ბიომრავალფეროვნების საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით | **არ არის შესრულებული** |
| 2 | საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით | მომზადებული ბროშურები, საინფორმაციო ფურცლები და სხვა მასალები; რეგიონების მიხედვით მოეწყო წელიწადში მინიმუმ ორი კამპანია მოხალისეების აქტიური მონაწილეობით | **შესრულებულია**<br><br>2009 წლის შემდგომ გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის ორგანიზებით ხორციელდება ცნობიერების ამაღლების კამპანიები - „ბაღის ფრინველთა საათი“ და „წითელი ნუსხის სახეობები“, რომლებშიც ჩართულია არიან საჯარო სკოლების პედაგოგები და მასწავლებლები.<br><br>დაცულ ტერიტორიების დამხმარე ზონებში ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ტარდება შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ლექცია-სემინარები სხვადასხვა მიზნობრივი და ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ტრენინგები, კონფერენციები.<br><br>საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორის WWF-ის კავკასიის წარმომადგენლობის, CENN-is, RECC-ის, ნაკრესის, საქართველოს მწვანეების, ეკოხედვას/ECOVISION და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე ხორციელდება საზოგადოების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ინფორმირების კამპანიები და სხვა ღონისძიებები ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სფეროში. |
| 3 | საინფორმაციო და სამეცნიერო-პოპულარული მასალები, ვიდეოფილმების მომზადება ბიომრავალფეროვნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენების კუთხით | მოძიებული და მომზადებულია საინფორმაციო მასალები და პუბლიკაციები; მომზადებული და ცენტრალური და რეგიონული ტელეარხების საშუალებით ნაჩვენებია 10 ვიდეო ფილმი | **შესრულებულია ნაწილობრივ** უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში გამოცემული იქნა საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი მასალები საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ, მათ შორის ჟურნალი „მშვენიერი საქართველო“, წიგნი „კავკაის - ბუნების საგანძური“ (CEPF). რეგულარულად გამოიცემა სხვადასხვა სახის საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი მასალა, რომლებიც პოპულარიზებას უწევენ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს. გადაღებული იქნა ვიდეო ფილმები კოლხეთის ეროვნულ პარკზე (GEF/World Bank), „ნიამორის დაბრუნება“ (CEPF), დოკუმენტური ფილმი საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე. თუმცა ეროვნული და ადგილობრივი ტელეარხებს მიერ იშვიათად ხდება აღნიშნული ფილმების ჩვენება. და ზოგადად, ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება, ასევე ბიომრავალფეროვნების კარგვის სოციალური და ეკონომიკური შედეგები კვლავ ნაკლებ აქტუალური თემაა მედიისათვის. |
| 4 | მედიატურების ორგანიზება ადგილობრივი ჟურნალისტების ინფორმირებისა და დაინტერესების მიზნით | თითოეულ რეგიონში წელიწადში მინიმუმ ორჯერ ცენტრალური და რეგიონალური მასმედიის წარმომადგენლებისათვის მოეწყო მედიატურები | **შესრულებულია ნაწილობრივ** მედია-ტურების ორგანიზება ძირითადად ხდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.<br><br>CEPF-ის მხარდაჭერით კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ ეკოლოგიური თემებით დაინტერესებულ ჟურნალისტებს გაეწიათ სათანადო კონსულტაციები. ჩატარდა 11 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 120 ჟურნალისტმა, ადგილობრივი მმართველობის 40 და არასამთავრობო ორგანიზაციების 45-მა წარმომადგენელმა საქართველოდან და აზერბაიჯანიდან. ორგანიზებული იქნა 2 ტრანსასაზღვრო მედია-ტური.<br><br>CEPF-ის მიერ საქართველოში მხარდაჭერილი იქნა საქართველოს |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მწვანეთა მოძრაობის საინტერესო ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივ მმართველობის ორგანოებსა და ჟურნალისტებს შორის თანამშრომლობის განვითარებაზე. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს ორ რეგიონში შეიქმნა ჟურნალისტების ქსელი, ასევე ჩატარდა ტრენინგები ჟურნალისტებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის. |
| 5 | სახელმწიფო და საზოგადოებრივ სექტორებს შორის თანამშრომლობის განვითარება ადგილობრივ დონეებზე | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონალური სამმართველოების ბაზაზე შექმნილია მუდმივმოქმედი კლუბები, რომლებიც რეგულარულ შეხვედრებს მართავენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. | **არ არის შესრულებული** გარემოს დაცვის სამინისტროს რეიონული ორგანოები გაუქმებული იქნა 2010 წელს. |
| 6 | საქართველოში ბუნებისადმი ტრადიციული დამოკიდებულების შესწავლა და პოპულარულენაზე გამოცემის მომზადება | გამოცემული სამეცნიერო-პოპულარლი ლიტერატურა | **შესრულებულია** ნაწილობრივ საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების პროექტის მიერ (GEF/World Bank) მხარდაჭერით გამოცემული იქნა ბროშურა თუშეთის ტრადიციული საქმიანობების შესახებ. |
| 7 | სპეციალური გამოცემის მომზადება დაცული ტერიტორიებისა და პერსპექტივების შესახებ | გამოცემულია და გავრცელებულია შესაბამისი პუბლიკაცია | **შესრულებულია** რეგულარულად გამოიცემა სხვადასხვა სახის საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი მასალა, რომლებიც პოპულარიზებას უწევენ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს |
| 8 | ბიომრავალფეროვნების სფეროში არსებული ლიტერატურის , მცირე ბიბლიოთეკებისა და ვიდეოთეკების ქსელის შექმნა | შექმნიალია მინიმუმ 4 სრულად აღჭურვილი ბიბლიოთეკა გარემოს დაცვის რეგიონალურ სამმართველოებთან | **არ არის შესრულებული** ერთი მხრივ, 2010 წლიდან რეგიონული სამმართველოები იქნა გაუქმებული, ხოლო მეორეს მხრივ არ ყოფილა ასეთი ბიბლიოთეკის შექმნის მცდელობა არც ცენტრალურ დონეზე. |
| 9 | სანახაობრივი ღონისძიებების (ვიქტორინები, სპორტული შეჯიბრებები, ალპინიადები და ა.შ.) ორგანიზება | მომზადებულია და განხორციელებულია სანახაობრივი ღონისძიებები როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში | **შესრულებულია ნაწილობრივ** სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება ხდება, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ისე არასამთვარობო სექტორის ორგანიზებითდა ძირითადად ეძღვნება ბიომრავალფეროვნებსი დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო დღეების აღნიშვნას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 | საქართველოს რეგიონებში სამეცნიერო-პოპულარული სემინარების ორგანიზება | ყველა რეგიონში გაიმართა წელიწადში მინიმუმ ერთი სემინარი | **არ არის შესრულებული** |
| 11 | სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენელების შეხვედრების ორგანიზება საერთო ინტერესების გამოვლენისა და ურთიერთობების დამყარების მიზნით | ყოველ წელს მომზადებული და ჩატარებულია მინიმუმ ერთი შეხვედრა | **შესრულებულია ნაწილობრივ** გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილია საზოგადოებრივი საბჭო, რომლის წევრებიც არიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოს შეხვდრები იმართება რეგულარულად. გარემსო დაცვის სამინისტროს ინიციატივით ასევე სემქნილია „მწვანე კლუბი“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. თუმცა ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები იშვიათადაა აღნიშნულ ფორუმების განხილვის საგანი |
| 12 | ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მენეჯმენტის სასწავლო (მოსამზადებელი) ცენტრის (კურსების) შექმნა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის | შექმნილია შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ცენტრი; შემუშავებულია სპეციალური ტრენიონგ-პროგრამები სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის | **არ არის შესრულებული** თუმცა სულ მცირე 11 უნივერსიტეტში ისწავლება ბიომრავალფეროვნების საკითხების შემსწავლელი საგნები სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე |
| 13 | სკოლის მასწავლებლებისათვის მუდმივმოქმედი გარემოსდაცვითი კურსების ორგანიზება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში | საქართველოს ყველა რეგიონში გადამზადებულია პედაგიგთან 35% | **არ არის შესრულებული**<br><br>თუმცა 2009 წლიდან მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები განათლების რეფორმის ფარგლებში. რეფორმის ფარგლებში შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები (ამჟამად მიმდინარეობს დამხმარე დეტალური გზამკვლევების მომზადება) და მასწავლებლებს საშუალება მიეცათ გაევლოთ ტრენინგები როგორც პედაგოგიური, ასევე საგნობრივი უნარების გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ტრენინგები შესაბამისი პროფილის პედაგოგებისთვის ნაწილობრივ ფარავს გარემოსდაცვით საკითხებს. გარდა ამისა, გარემოს დაცვის სამინისტრო (და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბიომრავალფეროვნების სამსახური) ახორციელებს გარკვეულ პროგრამებს ბიომრავალფეროვნების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | საკითხებზე და განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით. მათ სამიზნე ჯგუფს ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები წარმოადგენდნენ სხვადასხვა კამპანიის ფარგლებში. თუმცა ამჟამად აღნიშნული კამპანიების მასშტაბები არ არის დიდი (დაახლ. 120-500 მასწავლებელი). |
| 14 | სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სასწავლო პროგრამებში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირება | ბიომრავალფეროვნების დაცვის პრინციპოები ინტეგრირებულია სასწავლო პროგრამებში | **შესრულებულია**<br><br>სკოლამდელი განათლების სარეკომენდაციო შინაარსი განსაზღვრულია „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებით“, რომელიც 2010 წელს იქნა იუნისეფის დახმარებით შემუშავებული სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და მოიცავს სწავლისა და განვითარების შედეგების ხუთ სფეროს (სახელდობრ, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება.) 0-1, 1-3, 3-5 და 5-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სტანდარტებში საკმაოდ მკაფიოდ არის ასახული გარემოსდაცვითი საკითხები და მოიცავს სწავლის შედეგებს, რომლებიც ფოკუსირებულია ბავშვებში გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და გარემოსადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე . აღნიშნულ სტანდარტს ეფუძნება სკოლამდელი განათლების პროგრამაც , რომლის ფარგლებში მოცემული მისაღწევი შედეგები ხუთ საგანმანათლებლო სფეროს მოიცავს (მათ შორის, „სამყაროს აღქმას“) და მასში დიდი ადგილი უკავია ბიომრავალფეროვნების საკითხებსაც. გარემოსდაცვით და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული განათლების შინაარსი და შესაბამისი სწავლის შედეგები, ერთის მხრივ, ინტეგრირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 ძალაში შევიდა 2010-2011 სასწავლო წელს) გამჭოლ კომპეტენციებში, ხოლო, მეორეს მხრივ, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ინტერდისციპლინურად არის მოცემული და ჩართული სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგანში სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო - საფეხურზე. ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ კომპეტენციას რომლებიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების მთელს კურსში სხვადასხვა საგნების სწავლებისას, რომლებიც ითვალისწინებს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნებს და „რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის“. აღნიშნულ გამჭოლ კომპეტენციათაგან ერთ-ერთია ეკოლოგიური წიგნიერება: „ ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში; ” გამჭოლი კომპეტენციების მიღმა, გარემოსდაცვითი სწავლა და სწავლება ძირითადად კონსოლიდირებულია საგანთა ორ ბლოკში: საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბლოკში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბლოკში (ბუნებისმეტყველება, საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) არის შვიდი მთავარი მიმართულება: დაწყებით საფეხურზე ცოცხალი სამყარო (ბიოლოგიის შესავალი), დედამიწა და გარესამყარო (გეოგრაფია და ასტრონომია), ადამიანი და გარემო (სამოქალაქო განათლების საფუძვლები), სხეულები და მოვლენები (ფიზიკისა და ქიმიის ელემენტები), ასევე საბაზო და საშუალო საფეხურებზე მეცნიერული კვლევა-ძიება, ფიზიკური მოვლენები (ფიზიკის საფუძვლები) და ქიმიური მოვლენები (ქიმიის საფუძვლები), რომელთაგან პირველი სამი მოიცავს ინფორმაციას ბიომრავალფეროვნების, ბიომრავალფეროვნების შესაძლო საფრთხეებისა და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებზე. მსგავსადვე, საზოგადოებრივი მეცნიერებების (ჩვენი საქართველო, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციებში და სხვ.) ბლოკის 11 მიმართულებიდან 3 ფარავს სწავლის შედეგებს, რომელიც კავშირშია ბიომრავალფეროვნებასთან. 2012 წლისთვის მოსალოდნელი ცვლილება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გულისხმობს საგნების არჩევით ბლოკში ახალი საგნების „გარემო და მდგრადი განვითარებისა," ბუნებრივი ძეგლების მონიტორინგისა" და „კონსერვაციული ბიოლოგიის" დამატებას, რომელთაგან პირველი ორმოდულიანია (I მოდული: „გარემო და მადგრადი განვითრება", II მოდული „გეოეკოლოგია და გარემოს მართვა"). არჩევითი კურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიომრავალფეროვნების და კონსერვაციული მიდგომების სწავლებას. (ეკა სლოვინსკი, 2012) სხვადასხვა დონის (პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) პროფესიულ და უმაღლეს განათლებას (აღნიშნულ პროგრამებს ბიომრავალფეროვნების საკითხებზე ერთი მოდული მაინც აქვთ პროგრამის სავალდებულო ნაწილში.) ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის მომიჯნავე სპეციალობებში საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 11 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. |
| 15 | სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოების შემუშავება ბიომრავალფეროვნების პოპულარიზაციის კუთხით | გამოცემული და აპრობირებულია მინიმუმ თითო დამხმარე სახელმძრვანელო სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის საკითხი | ძალიან ზოგადად არის დასმული. ძნელია შეაფასო შესრულებულია თუ არა აღნიშნული ქმედება. |
| 16 | სკოლებში ბიომრავალფეროვნების შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება | რამდენიმე სკოლაში ჩამოყალიბებულია ბიომრავალფეროვნების შემსწავლელი წრეები, რომელტაც აქვთ სატანადო აღჭურვილი კაბინეტები (პილოტ-პროექტი) | **არ არის შესრულებული**<br><br>თუმცა გარემოს დაცვის სამინისტროსა და მისი პარტნიორების, ღონისძიებები ხშირად მიმართულია საზოგადოებრივი (მათ შორის სკოლის მოსწავლეთა) ცნობიერების ამაღლებაზე. მათ შორის, ბიომრავალფეროვნების სამსახურის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მიერ გერმანიის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციასთან პარტნიორობით განხორციელებული კამპანიები „ბადის ფრინველთა საათი“ და „წითელი ნუსხის სახეობები“ მოიცავს 300-400 საჯარო სკოლას და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას (ინფორმაციისა და ცოდნის მიღება აღნიშნულ საკითხებზე, უშუალო დაკვირვება-ექსპერიმენტი, მარტივი პროექტის (მაგ. ნახატის შექმნა) განხორციელება აღნიშნულ თემატიკაზე, დამხმარე მასალების მომზადება და მიწოდება და ა.შ.) |
| 17 | ეკობანაკების მოწყობა უფროსკლასელებისა და სტუდენტების მონაწილეობით | მოწყობილია მინიმუ 4 ეკობანაკი | ეკობანაკების მოწყობა მხარდაჭერილი იქნა საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტებიოს მიერ, მათ შორის „საქართველოს დაცული ტერიტორიების პროგრამის“ (GEF/WB), CEPF. ეკობანაკები რეგულარულად ეწყობა საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით |
| 18 | რეკლამის შესახებ საქართველსო კანონში ცვლილებების შეტანა, რაც უკეთს პირობებს შექმნის გარემოსდაცვითი რეკლამების განთავსებისათვის | მომზადებულია და პარლამენტშიშეტანილია შესაბამისი წინადადებები | |
| 19 | ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე, როგორც სპეციალური კურსი, დაემატოს „ზოგადი ეკოლოგია და ეკოლოგიური სამართალი | რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემოღებულია სპეციალური კურსი:„ზოგადი ეკოლოგია და ეკოლოგიური სამართალი“. | **არ არის შესრულებული** თუმცა საბაკალავრო პროგრამების მოდულური ხასიათის გათვალისწინებით დაინტერესებულ სტუდენტებს აქვთ საშუალება თავისუფალი კრედიტის სახით აიღონ ნებისმიერი კურსი, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების საკითხების შემსწავლელი კურსი, თუ ასეთი ისწავლება აღნიშნულ უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში |
| 20 | გარემოს დაცვის სამართლის სფეროში სახელმწიფო სასწავლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება | შერჩევით რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში შემოღებულია გარემოს დაცვის სამართლის (ეკოლოგიური სამართლის) სპეციალობა | **არ არის შესრულებული** თუმცა „ეკოლოგიური სამართალი“ (არჩევითი საგანი) ისწავლება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბაკალავრიატის სამართლის პროგრამა), ასევე „საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი“ ისწავლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | უნივერსიტეტში (ბაკალავრიატის საერთაშორისო სამართლის პროგრამა). საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის სწავლება დაგეგმილია სულ მცირე კიდევ ორ უნივერსიტეტში |
| 21 | ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის განხორციელების შედეგობრივი ვებ-გვერდის ინტერნეტში განთავსება | ვებ-გვერდი განთავსებულია ინტერნეტში | **შესრულებულია ნაწილობრივ** ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის შესრულების მდგომარეობა შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კონვეციისადმი საქართველოს მე-4 ეროვნულ ანგარიშში, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებ-გვერდზე http://www.chm.moe.gov.ge/index.php?page=konvenciebis_daregva&lng=ge_ შესაძლებელია NBSAP-ის განახლების მიმდინარე პროცესში დოკუმენტის შესრულების მდგომარეობის შესახებ მოპოვებული უფრო დეტალური ინფორმაციის განთავსება ამავე ვებ-გვერდზე |

**დანართი 2. ორგანიზაციებისა და პირების სია, რომლებთანაც ჩატარდა ინტერვიუები შეფასების პროცესში**

***სახელმწიფო უწყებები:***

გარემოს დაცვის სამინისტრო (MoE)

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ბიომრავალფეროვნების სამსახური

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (MENR)

სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო (MSY)

ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი

სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის სამმართველო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (MES)

სსიპ მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების ცენტრი

სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი

თბილისის მერია, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური

***არამამთავრობო ოგანიზაციები:***

ორჰუსის ცენტრი

რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC-Caucasus)

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამ-ოფისი (WWF Caucasus)

მწვანე ალტერნატივა

სახეობათა კონსერვაციის ცენტრი ნაკრესი

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი, სამხრეთ კავკასიის ოფისი

ელკანა - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია

საველე კვლევების ასოციაცია CAMPESTER

ეკოხედვა

***საგანმანათლებლო დაწესებულებები:***

ააიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ააიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ააიპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახე;ობის უნივერსიტეტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი

თელავის სახემწიფო უნივერსიტეტი

***სხვა ორგანიზაციები:***

ააიპ თბილისის ზოოლოგიური პარკი, საგანმანათლებლო ცენტრი „მეტაზოა"

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, განათლების დეპარტამენტი

## დანართი 3. ბიბლიოგრაფია და ვებ-გვერდები


1. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996
2. საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, 1996
3. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 1996
4. საქართველოს ტყის კოდექსი, 1999
5. საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“, 2003
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999
7. საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 2007
8. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005
9. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007
10. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004
11. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016
12. სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტი, 2007
13. კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის კონვენცია)
14. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ
15. კონვენცია ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ (რამსარის)
16 UNECE, Environmental Performance Reviews, Georgia, Second Review, 2010
17. USAID, Biodiversity Analysis, Update for Georgia, 2009
18. Aarhus Convention Implementation Report of Georgia, 2010
19. Assessing Five Years of CEPF Investment in the Caucasus Biodiversity Hotspot, 2009
20. Assessment report of the priority components of the biodiversity of Georgia, GEF/UNDP
21. Species Conservation Centre NACRES, 2008
22. National Report on the State of the Environment (2007-2009), Ministry of Environment Protection, 2012
23. Eco-regional Conservation Plan for the Caucasus, 2006
24. Statistical Publication “Natural Resources and Environment Protection in Georgia 2010” Higher Education in Georgia, Education, Audiovisual and Culture Executive Agency (EACEA), 2010
25. Gurchiani, Tamar, Gujaraidze Kety, Green Alternative, Alternative Report on IMPLEMENTATION OF CONVENTION ON ACCESS TO INFORMATION, PUBLIC PARTICIPATION IN DECISION-MAKING AND ACCESS TO JUSTICE IN ENVIRONMENTAL MATTERS (AARHUS CONVENTION) IN GEORGIA

26. Nakashidze, catherine (2010), Prepared in the framework of ENPI FLEG Program – Improving Forest Law Enforcement and Governance in the European Neighborhood Policy East Countries and Russia Tbilisi

***Websites:***

www.moe.gov.ge
www.biomonitoring.moe.gov.ge
www.chm.moe.gov.ge
www.aarhus.ge
www.statistics.ge
www.redlist.ge
www.parliament.ge
www.apa.gov.ge
www.geostat.ge
www.cbd.int
www.ramsar.org
www.wwfcaucasus.ge
www.elkana.org.ge
www.ecbsea.org
www.cenn.org
www.greenalt.org
www.nacres.org
www.gccw.org
www.greenway.ge
www.rec-caucasus.org
www.iucn.org
www.cauenv.gol.ge
www.iczm.org.ge
www.climatechange.telenet.ge
www.kura.iabg.de
www.blacksea-environment.org
www.ozone.ge
www.panda.org
www.tematea.org
www.biomonitoring.moe.gov.ge/?34/3/&lan=en
http://chm.moe.gov.ge/index.php?page=saqartvelos_bio&lng=ge_

http://www.unep.org/dec/onlinemanual/Enforcement/InstitutionalFrameworks/PublicAwarenessEducation/tabid/99/Default.aspx?page=1
http://junior.tsu.ge/
http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/science/cq_l9gwinbba6c5/
http://tsas.ge/index.php?option=com_content&view=article&id=44&Itemid=52&lang=en

**დანართი 3. დაინტერესებულ მხარეთა შეხვედარის ოქმი**

თბილისში, ქორთიარდ მარიოტში, ჩატარდა დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა **საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა დასამოქმედო გეგმის (NBSAP) განახლების, საზოგადიების მონაწილეობისა და განათლების თემატური მიმართულების** კომპონენტის ფარგლებში.

თარიღი: 2012 წლის 2 აპრილი
დრო: 14:00
მისამართი: 0105 თბილისი, თავისუფლების მოედანი 4
ტელ: +995 574 73 88 71

შეხვედრის მიზნები:

- პროექტის აღნიშნული მიმართულების მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა
- ბიომრავალფეროვნების საკითხებზე საზოგადიების მონაწილეობისა და განათლების კომპონენტის ანგარიშის გაცნობა
- დაინტერესებული მხარეების ჩართვის პროცედურების განხილვა
- ბიომრავალფეროვნების საკითხებზე საზოგადიების მონაწილეობისა და განათლების სფეროში ხარვეზების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება

შეხვედრას უძღვებოდა ნინო სულხანიშვილი (ბიომრავალფეროვნების საზოგადოების მონაწილეობისა და განათლების მიმართულების კოორდინატორი).

დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა ჩატარდა ეკოხედვას/ECOVISION წესდების მიხედვით და ჩანაწერები დაერთვება ოქმს.

**დღის წესრიგი**

| | |
|---|---|
| 14:00-14:20 | შეხვედრის გახსნა/პროექტის მე-6 თემატური<br>მიმართულების წარდგენა<br>ნინო სულხანიშვილი – ეკოხედვას/ECOVISION<br>აღმასრულებელი დირექტორი<br><br>მისალმება<br>იოსებ ქარცივაძე – საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, |

| | |
|---|---|
| | ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი<br>ნათია კობახიძე - GIZ |
| 14:20-15:30 | პრეზენტაცია<br>საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება, თემატური მიმართულება 6 - საზოგადოების მონაწილეობა და განათლება<br>ნინო სულხანიშვილი<br>თეა სიფრაშვილი |
| 15:30-16:30 | სადილი |
| 16:30-17:30 | შეკითხვები, დისკუსია |
| 17:30-17:40 | შესვენება ყავით |
| 17:40-18:30 | ბიომრავალფეროვნების საზოგადოების მონაწილეობისა და განათლების სფეროში ხარვეზების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება |
| 18:30 | შეხვედრის დახურვა |

მონაწილეთა სია

| № | სახელი | ორგანიზაცია | კონტაქტი |
|---|---|---|---|
| 1 | თეა სიფრაშვილი | პროექტის ექსპერტი განათლების სახითხებში | ტელ: +995 591 40 00 40 teasiprashvili@yahoo.com |
| 2 | ანა რუხაძე | პროექტის ექსპერტი ბიომრავალფეროვნების სახითხებში | ტელ: +995 593 90 51 58 anarukhadze@yahoo.com |
| 3 | ნათია კობახიძე | GIZ | natia.kobakhidze@yahoo.com |
| 4 | გია სოფაძე | პროექტის კონსულტანტი | ტელ: +995 599 93 92 09 info@ecovision.ge |
| 5 | თამარ კვანტალიანი | გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური | t.kvantaliani@moe.gov.ge |
| 6 | ნინო სულხანიშვილი | პროექტის კოორდინატორი ეკოხედვა/ECOVISION | მობ: +995 574 73 88 71 n.sulkhaishvili@ecovision.ge |
| 7 | თამარ ალადაშვილი | გარემოს დაცვის სამინისტრო | t.aladashvili@moe.gov.ge |
| 8 | ეკატერინე ბენდელიანი | გარემოს დაცვის სამინისტრო | katerina@moe.gov.ge |
| 9 | პაატა შანშიაშვილი | აშშ-ს შინაგანი დეპარტამენტი | p.shanshiashvili@yahoo.com |
| 10 | გიორგი ლებანიძე | GIZ | giorgi.lebanidze@giz.de |
| 11 | ელენე შატბერაშვილი | ასოციაცია „ელკანა" | მობ: + 995 591 19 55 10 advocacy@elkana.org.ge |
| 12 | ზაზა კვანტალიანი | საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედემიწის მეგობრები | მობ: + 995 577 40 18 29 kvantaliani@gmail.com |
| 13 | ეკა შალუტაშვილი | ALOWS/INRMW Georgia | მობ: + 995 599 56 88 44 eshalutashvili@globalwaters.net |
| 14 | ნინო ლაღიძე | CARE International, ALOWS/INRMW | მობ: + 995 599 999 111 Nino_lagidze@care.org.ge |
| 15 | ეკა სლოვინსკი | განათლების და მეცნიერების | ტელ: +995 577 55 60 70 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | სამინისტრო | eslovinski@mes.gov.ge |
| 16 | რუსუდან თევზაძე | განათლების და მეცნიერების სამინისტრო | ტელ: +995 577 43 52 72<br>rtevzadze@mes.gov.ge |
| 17 | ილია ოსეფაშვილი | WWF Caucasus PO | ტელ: 223 75 00<br>iosepashvili@wwf caucasus.ge |
| 18 | მარიამ დარჩიაშვილი | გარემოს დაცვის სამინისტრო | m.darchiashvili@moe.gov.ge |
| 19 | ირინა ჯაფარიძე | საბავშო გარემოსდაცვითი ჟურნალის POPcorn რედაქტორი | ტელ: +995 551 10 69 12<br>irina-jafaridze@mail.ru |
| 20 | თამუნა შარაშენიძე | ტელეკომპანია ენკი-ბენკი | ტელ: +995 599 60 45 54<br>tamuna@mediagroup.ge |
| 21 | ნინო გვაზავა | ორჰუსის ცენტრი საქართველოში | n.gvazava@aarhus.ge |
| 22 | დიმიტრი ღლონტი | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | dimitri@glonti@yahoo.com |
| 23 | ნათია იორდანიშვილი | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | n.iordanishvili@anr.ge |
| 24 | ნინო ჩხობაძე | საქართველოს მწვანეთა მოძრაობა<br>დედემიწის მეგობრები | nino.chkhobadze@gmail.com |
| 25 | ნოდარ ელიზბარაშვილი | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი<br>კათედრის გამგე | nelizbarashvili@yahoo.com |
| 26 | მაია ჩხობაძე | სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო | maya.chkhobadze@yahoo.com |
| 24 | ლევან ქურდიანი | საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრი | l.kurdiani@yahoo.com |
| 28 | დეკანოზი ბიძინა გუნია | საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრი | svetitskhoveli@yahoo.com |
| 29 | ლელა ყაჭეიშვილი | საქართველოს მწვანეთა მოძრაობა<br>დედემიწის მეგობრები | lelakacheishvili@gmail.com |

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 | მადონა პირველაშვილი | საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედემიწის მეგობრები | madonapirvelashvili@yahoo.com |
| 31 | ირმა ბოჭორიშვილი | თბილისი ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრი მეტაზოა | bochorishvili.irma@gmail.com |

**შეხვედრის ჩანაწერი**

| | |
|---|---|
| ნინო სულხანიშვილი | მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და შეხვედრა გახსნილად გამოაცხადა. წარადგინა შეხვედრის დღის წესრიგი. ხაზი გაუსვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მნიშვნელობას პროექტში. |
| ნათია კობახიძე | შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა დასამოქმედო გეგმის განახლების პროექტი და მისი ძირითადი მიმართულებები. |
| ნინო სულხანიშვილი | გააკეთა პრეზენტაცია ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროექტის, მე-6 მიმართულების - საზოგადიების მონაწილეობისა და განათლების ანგარიშის, 1 და 2 თავის (ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების არსებული ინსტრუმენტები) შესახებ. |
| თეა სიფრაშვილი | გააკეთა პრეზენტაცია ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროექტის, მე-6 მიმართულების - საზოგადიების მონაწილეობისა და განათლების ანგარიშის, მე - 3 თავის (საზოგადოებრივი ცნობიერება და განათლება) შესახებ. |
| ნათია კობახიძე | გააკეთა შენიშვნა მასზედ რომ წინასწარულ ანგარიშში არ არის ნათლად ასახული არსებული NBSAP-ის, მოცემული მიმართულების განხორციელების დღევანდელი სტატუსი. |
| ანა რუხაძე | განმარტა, რომ სამწუხაროდ არ არსებობს გაზომვადი ინდიკატორები არსებული NBSAP-ის მოცემული მიმართულების განხორციელების დღევანდელი სტატუსის დასადგენად. აღნიშნა, რომ მოცემული მიმართულების შესრულებული ქმედებების ზოდაგი შეფასების ცხრილი, დანართის სახით დაერთვება საბოლოო ანგარიშს. |

| | |
|---|---|
| თამუნა შარაშენიძე | აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ბიომრავალფეროვნება და ზოგადად გარემოს დაცვა არ არის რეიტინგული თემები მედიისთვის და, კერძოდ, ტელევიზიებისთვის. ძნელია აღნიშნული თემატიკის გადაცემებში რეკლემის გაყიდვა. შესაბამისად, ეს თემები ნაკლებად შუქდება მედიის მიერ. საჭიროა ხალხში გაჩნდეს ინტერესი და მოთხოვნა მსგავს საკითხებთან დაკავშირებით. |
| ნოდარ ელიზბარაშვილი | გააკეთა რეკომენდაციები ანგარიშის თაობაზე:<br>1. რეკომენდირებულია მომზადდეს და გამოიცეს პოპულარული წიგნი (მონოგრაფია) – საქართველოს ბიომრავალფეროვნება, რომლის საფუძვლად შეიძლება გამოყენებული იქნას WWF-ის მიერ გამოცემული სტატისტიკების კრებული.<br>2. რეკომენდირებულია მომზადდეს და გამოიცეს რუკა - საქართველოს ბიომრავალფეროვნება, რომელზეც აღნიშნული იქნება ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეული ადგილები, პოტენციური ადგილები დაცული ტერიტორიების შესაქმნელად და სხვ.<br>3. რეკომენდირებულია შეიქმნას გეოსაინფორმაციო სისტემა (GIS) საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და მათი გამოყენების სივრცით ასპექტში. განსაკუთრებით მსხვილი პროექტებისათვის, რაც პროგნოზირებას შეუწყობს ხელს.<br>4. რეკომენდირებულია შეიქმნას კონცეფცია და მოხდეს პროგრამული და თემატური გაწერა ინტეგრირებული სწავლებისათვის სასკოლო განათლებაში. გეოგრაფიისა და ბიოლოგიის დისციპლინებში მოხდეს ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტური მრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირება.<br>5. რეკომენდირებულია სერთაშორისო კონვენციების ქართულ ენაზე თარგმნა, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისათვის. ანგარიშში ნახსენებ მომიჯნავე კონვენციებს უნდა დაემატოს ევროპის ლანდშაფტური კონვენცია (ფლორენციის კონვენცია. 2000)<br>გააკეთა შენიშვნა იმის თაობაზე რომ ანგარიშში ჩამოთვლილი 11 უმაღლესი სასწავლებლიდან მხოლოდ 4 უმაღლეს სასწავლებელში იკითხება ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები სრული კურსით. ასევე დასაზუსტებელია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი. |

| | |
|---|---|
| ნინო სულხანიშვილი | დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციებს, აღნიშნა რომ ისინი შეძლებისდაგვარად ასახული იქნება საბოლოო ანგარიშში. |
| ნინო გვაზავა | აღნიშნა, რომ მართალია საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული გარემოსდაცვითი ინფორმაცია და მისი სახეები, მაგრამ ამას განსაზღვრავს ორჰუსის კონვენცია. აქედან გამომდინარე, რადგან საქართველო არის ორჰუსის კონვენციის მხარე, შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში ორჰუსის კონვენციით ხელმძღვანელობა. |
| ანა რუხაძე | დაეთანხმა წინა გამომსვლელს, თუმცა განმარტა, რომ ეს რეალობაში ძნელად შესრულებადია. ისევე როგორც ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საკანონმდებლო, პოლიტიკური და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულება. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა რომ ამგვარი დოკუმენტების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობა უმნიშვნელოა. |
| დიმიტრი ღლონტი | აღნიშნა რომ ზოგადად გარემოსდაცვითი ინფორმაცია არასრული და უსისტემოა. ყურადღება გაამახვილა სამინისტროებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების შესაძლო წყაროებზე. |
| ანა რუხაძე | აღნიშნა, რომ ყველა პროექტი რომელიც ქვეყანაში ხორციელდება გარემოს დაცვის სფეროში, მზადაა დაინტერესებულ სამინისტროებს მიაწოდოს შესაბამისი პროექტების ანგარიშები და შედეგები. |
| დიმიტრი ღლონტი | აღნიშნა, რომ სამინისტროებს არ გააჩნიათ ადამიანური რესურსი რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ოპერატიულად გაცემას. მოიყვანა მაგალითი როდესაც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის კონსოლიდაციას და გასაცემად მომზადებას ერთი კვირა და დიდი რაოდენობით ადამიანური რესურსი დასჭირდა. |
| ანა რუხაძე | აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მუდმივ განახლებას და სრულყოფას განიცდის. |

| | |
|---|---|
| ეკა სლოვინსკი | 1 აღნიშნა, რომ მას ჰქონდა კომენტარები მოხსენების განათლების ნაწილთან დაკვშირებით, რომელიც შეეხებოდა სკოლამდელი განათლების კიდევ ერთ მარეგულირებელ დოცუმენტს, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების ნაწილთან დაკავშირებით, რომელსაც წერილობითი სახით წარმოადგენდა.<br>2 აღნიშნა, რომ მართალია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოხდა გარკვეული საკითხების ასახვა ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებაში, მაგრამ სერიოზული პრობლემები არსებობს სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების კუთხით. განსაკუთრებით ეს ეხება არჩევითი საგნების სახელმძღვანელოებს, რადგან გამოცემლებს არ აქვთ საკმარისი ფინანსური დაინტერესება მსგავსი საგვის სახელმძღვანელოების შესამუშავებლად და , კარგი იქნებოდა, თუ პროექტში ჩართული ექსპერტები შეძლებენ ამ კუთხით დახმარებას.<br>3 აღნიშნა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული მრავალი არჩევითი საგანი მოზარდებში ბიომრავალფეროვნების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების შექმნას უწყობს ხელს და, ამ მხრივ, რეპორტში მოხსენიებულ ეროვნული სასწვალო გეგმის მოსალოდნელ ცვლილებებთან (გარემო და მდგრაიდ განვითარების მოდულის ჩართვა) ერთად კარგი იქნება აღინიშნოს კიდევ ერთი აღცევითი საგანი "ბუნების ძეგლების მონიტორინგ," რომლის ეროვნულ სასწვალო გეგმაში ჩართვა ასევე იგეგმება სამომავლოდ, და კარგი იქნება, რეპორტში ამის შესახებაც შევიდეს ინფორმაცია.<br>4ასევე აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიესალმება თანამშრომლობას მასწავლებლებისათვის გზამკვლევებზე მუშაობის პროცესში და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სასწავლო რესურსების შესახებ, ასევე მიიღონ მონაწილეობა პროექტ აინშტაინის ფარგლებში შეძენელი და გაუმჯობესებული სასკოლო ინვენტარის პრაქტიკული ცნობარი სახელმძღვანელოების შემუშავებაში მასწავლებლებისათვის, რათა ამ უკანასკნელებმა შეძლონ ამ ინვენტარის გამოყენება ბიომრავალფეროვნების სწავლების მიზნით. |

| | |
|---|---|
| რუსუდან თევზაძე | აღნიშნა, რომ საჭიროა ბავშვებში პრაქტიკული უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება, მაგალითად მათი ჩართვა ბუნების ძეგლების მონიტორინგში და მსგავს პროექტებში. ასევე მიზანშეწონილია ტერმინოლოგიური გზამკვლევის შექმნა ჟურნალისტებისათვის. |
| თამუნა ალადაშვილი | დაეთანხმა წინა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ აუცილებელია ქვეყანაში ხელი შეეწყოს გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკის განვითარებას. არსებობენ ჟურნალისტები, რომლებიც ხშირად აშუქებენ გარემოსდაცვით თემატიკას, მაგრამ მათ მაინც აქვთ გარკვეული პრობლემები თემატიკის შინაარსის და ტერმინოლოგიის თვალაზრისით. |
| ელენე შატბერაშვილი | აღნიშნა რომ რეკომენდირებულია გაკეთდეს ე.წ. GAP ანალიზი, რომელიც დაადგენს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის პრიორიტეტულ მიმართულებებს. |
| ირმა ბოჭორიშვილი | ხაზი გაუსვა მოსწავლეთა გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელობას. დამსწრეებს ინფორმაცია მიაწოდა საგანმანათლებლო ცენტრის „მეტაზოას" საქმიანობებზე და მის როლზე ცნობიერების ამაღლების თვასაზრისით. |
| ლევან ქურდიანი | აღნიშნა საქართველოს საპატრიარქოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის როლი აღნიშნული მიმართულებით. ქრისტიანული სწავლება და იდეოლოგია დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ საკითხებს. აღნიშნა, რომ შესაძლებელია ეკლესიის რესურსის ეფექტურად გამოყენება ბიომრავალფეროვნების საკითხებზე განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის. ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას საპატრიარქოს არხი „ერთსულოვნება" ქადაგებები და სხვა საშუალებები. |
| ნინო ლაღიძე | აღნიშნა, რომ აუცილებელია თითოეულ ადამიანს უშუალო შეხება ჰქონდეს ბუნებასთან. უნდა არსებობდეს საველე პრაქტიკული სახელმძღვანელოები. მოსწავლეები უშუალოდ უნდა იყვნენ ჩართული საველე კვლევებში და შედეგების გამოვლენაში. ყურადღება გაამახვილა სპეციალისტების ნაკლებობაზე ვინც საველე პირობებში ბავშვებთან იმუშავებდა. რეკომენდირებულია სასწავლო პორტალის შექმნა სადაც თავს მოიყრის ყველა საჭირო ინფორმაცია. |
| მაია ჩხობაძე | დაეთანხმა წინა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლერდეს ვიწრო სპეციალისტების მომზადება და პრაქტიკული, საველე კვლევები. რადგან დღეისათვის ინფორმაციის კონსოლიდაცია და დამუშავება ძირითადად თეორიულ საფუძველზე ხორციელდება. |

| | |
|---|---|
| პაატა შანშიაშვილი | აღნიშნა, რომ საველე კვლევებისათვის და ასევე ფორმალური განათლებისათვის დაცული ტერიტორიებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. |
| დეკანოზი ბიძინა გუნია | ხაზი გაუსვა შეხვედრის მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ ადამიანების ცნობიერებასა და ქცევაში გარეგან ფაქტორებთან ერთად უმნიშვნელოვანესია შინაგანი მოტივაცია. ანუ იმის განცდა, რომ ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ ღვთის ქმნილების განადგურებაზე. განმარტა, რომ ამგვარი კონცეფცია მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას არ ახასიათებს და სხვა რელიგიებსა ზუსტად იგივე დამოკიდებულება აქვთ ბუნებისადმი. აღნიშნა, რომ საპატრიარქოსთან თანამშრომლობა ამ მიმართულებით მეტად შედეგიანი იქნება. დადებითად შეაფასა ბატონ ნოდარ ელისბარაშვილის იდეა პოპულარული წიგნის (მონოგრაფია) – საქართველოს ბიომრავალფეროვნება და რუკის შექმნის თაობაზე. ასევე აღნიშნა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები რომლებიც წარმოადგინეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა. |

| | |
|---|---|
| პაატა შანშიაშვილი | ისაუბრა არსებული NBSAP-ის შესახებ და აღნიშნა, რომ საჭიროა საერთო აზრის ჩამოყალიბება იმის თაობაზე თუ რა ეტაპზეა დღეს მისი განხორციელება. NBSAP-ის  განხორციელების პრობლემებად დაასახელა ის, რომ განხორციელებული საქმიანობები არ იყო სამიზნე ჯგუფებზე, საკვანძო გზავნილებზე და შედეგებზე ორიენტირებული. ჩამოაყალიბა ძირითადი საჭიროებები, აღნიშნული მიმართულებით პრობლემების აღმოფხვრის და წარმატების მიღწევისათვის.<br>აღნიშნა რომ, უმნიშვნელოვანესია ბიომრავალფეროვნების საკითხისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.  მთავარია ადამიანებმა დაინახონ პირდაპირი კავშირი მათ ჯანმრთელობას/კათლიდღეობასა და გარემოს მდგომარეობას შორის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია როგორვ ფორმალური ასევე არაფორმალური განათლება. შედეგად აღნიშნული თემატიკა მოთხოვნადი გახდება მოსახლეობაში რაც მედიის ინტერსსაც გამოიწვევს.<br>აუცილებელია კარგად შემუშავდეს საკვანძო გზავნილები და სწორად მიეწოდოს ისინი სამიზნე ჯგუფებს. საკვანძო გზავნილების შემუშავების დროს გასათვალისწინებელია რომ ისინი იყოს როგორც ემოციური ასევე ინტელექტუალური.<br>ყველა აღნიშნული ქმედება უნდა იყოს პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული. საბოლლო შედეგი კი ადამიანების ქცევის შეცვლა უნდა იყოს.  მათ გონივრული დამოკიდებულება გარემოსთან. |
| ნინო სულხანიშვილი | შეაჯამა შეხვედრა. მადლობა გადაუხადა მონაწილეებს აქტიური თანამშრომლობისათვის და რეკომენდაციებისათვის. აღნიშნა, რომ შენიშვნები და რეკომენდაციები ასახული იქნება საბოლოო ანგარიში. |

შეხვედრის შედეგად მონაწილეები შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

- ორჰუსის კონვენციის შესაბამისად, ორჰუსის ცენტრი პროექტს დაეხმარება შესაბამისი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვებაში და გავრცელებაში
- ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად ითანამშრომლებს პროექტთან
- ყველა დაინტერესებული მხარე დაეხმარება პროექტს საჭირო ინფორმაციის მოგროვებაში

**შეხვედრის ფოტოები**